პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 262 (5363) | ოთხშაბათი, 16 ნოემბერი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ „საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის“ გამოსვლამ დასაბამი უნდა მისცეს ჩვენი კადრების — პარტიული, კომკავშირული, საბჭოთა, პროფკავშირული, სამეურნეო, კულტურული მუშაკების, მთელი საბჭოთა ინტელიგენციის კადრების მობრუნებას თავისი თეორიული ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისაკენ.

(საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან)

შევაიარაღოთ ჩვენი კადრები მარქსიზმ-ლენინიზმით

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოშვებასთან დაკავშირებით“. მთელი ჩვენი პარტია, ყველა ბოლშევიკი, პარტიული და არაპარტიული, ამ დადგენილებას უდიდესი ინტერესითა და ყურადღებით შეხვდებიან, ვინაიდან იგი მოასწავებს ახალ ხანას ბოლშევიკური პროპაგანდის ორგანიზაციაში, ახალ აღმავლობას ჩვენი ქვეყნის იდეურ ცხოვრებაში.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, პარტიის ისტორიის წინანდელი სახელმძღვანელოებისაგან განსხვავებით, — „წარსულ საქმეებზე მშრალი და გაუგებარი მოთხრობა“ როდია, არამედ ბოლშევიზმის მძლავრი იდეური იარაღია, ეს არის მარქსიზმ-ლენინიზმის დარგში ძირითად ცოდნათა ენციკლოპედია, ეს არის მარქსისტულ-ლენინური თეორიის უდიდესი ძალის ჩვენება, ეს არის ჩვენი კადრების ბოლშევიზმით შეიარაღების მძლავრი საშუალება.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მუშაობდა რა ამ მეცნიერულ ნაშრომზე, გამოდიოდა ამოცანიდან — მიეცა პარტიისათვის ერთიანი სახელმძღვანელო, პარტიის ისტორიისა და მარქსიზმ-ლენინიზმის ოფიციალური, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ შემოწმებული განმარტება. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ამოცანად ისახავდა მოეხდინა ლიკვიდაცია მარქსიზმისა და ლენინიზმის პროპაგანდას შორის არსებული ხელოვნური გარღვევისა, რომელსაც ჰქმნიდნენ სქოლასტები და ვულგარიზატორები. საკ. კ. პ. (ბ) ისტორიაში, რომელიც მოწონებულია საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ, მთელი ძალით არის ხაზგასმული, რომ **„ლენინიზმი წარმოადგენს მარქსიზმის შემდგომ განვითარებას, მარქსიზმს პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ახალ პირობებში, იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის მარქსიზმს, დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე სოციალიზმის გამარჯვების ეპოქის მარქსიზმს“** (საკ. კ. პ. (ბ) ისტორია).

ამავე დროს პროპაგანდისტული მუშაობის პრაქტიკაში, უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების პრაქტიკაში არსებობდა ერთიანი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შემადგენელი ნაწილების ხელოვნური დანაწევრება. დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმს მოსწყვეტდნენ ხოლმე ლენინიზმს, პარტიის პოლიტიკას განიხილავდნენ ისტორიული მატერიალიზმისაგან იზოლირებულად.

საკ. კ. პ. (ბ) ისტორია ჩვენს კადრებს ზრდის **იდეებზე**. ისტორიული ფაქტები მკითხველის წინაშე დგება როგორც დემონსტრაცია მარქსიზმ-ლენინიზმისა მოქმედებაში, როგორც რევოლუციური თეორია, რომელიც გამოყენებულია პრაქტიკაში. წიგნი გათვალისწინებულია იმისათვის, რომ აღზარდოს ბოლშევიკური **პოლიტიკოსები**, რომლებიც შეიარაღებული იქნებიან მარქსიზმ-ლენინიზმით, რომლებსაც ექნებათ ამ თეორიის გამოყენების უნარი, რომლებსაც ექნებათ უნარი წარსულის გამოცდილებით გაერკვიონ ჩვენი დღეების მოვლენებში.

პირველიდან უკანასკნელ გვერდამდე საკ. კ. პ. (ბ) ისტორია ჩვენს კადრებს ასწავლის დააფასონ რევოლუციური თეორიის ძალა და მნიშვნელობა. უყრიდა რა იდეოლოგიურ საფუძვლებს ჩვენს პარტიას, ლენინი თავის შესანიშნავ წიგნში „რა ვაკეთოთ?“ სწერდა: „რევოლუციური თეორიის გარეშე არც რევოლუციური მოძრაობა შეიძლება... **მოწინავე მებრძოლის როლის შესრულება ძალუძს მხოლოდ ისეთ პარტიას, რომელიც ხელმძღვანელობს მოწინავე თეორიით“**. ისტორიას არაერთხელ მოუცია იმის მაგალითი, თუ როგორ ბრწყინვალედ იმარჯვებდა ბოლშევიკური პარტია ყველაზე უძნელეს პირობებში მხოლოდ იმიტომ, რომ შეიარაღებული იყო მოწინავე თეორიით, იცოდა საზოგადოებრივი განვითარებისა და პოლიტიკური ბრძოლის კანონები, იცოდა, საით მიდის საქმე. საკმარისია გავიხსენოთ 1928-1930 წლები, როდესაც პარტია ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით შეუდგა ისეთ უძნელეს და უმაგალითო საქმეს, როგორიცაა სოფლის კოლექტივიზაცია. პარტიამ გაიმარჯვა, მიუხედავად მტრების გამძაფრებული წინააღმდეგობისა, იმიტომ რომ მან იცოდა, თუ რას აკეთებს იგი და საით მიჰყავს ხალხი.

ძნელი არ არის იმის დანახვა, თუ როგორ გაიზრდება ჩვენი კადრების პოლიტიკური სიფხიზლე და სიმტკიცე, როგორ გაიზრდებიან ჩვენი მუშაკები, თუ ისინი დაეუფლებიან მოწინავე თეორიას, თუ ისინი მოახდენენ თავისი თეორიული ჩამორჩენილობის ლიკვიდაციას.

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის გამოსვლამ მთელი ძალით დააყენა საკითხი პროპაგანდის ისეთი ორგანიზაციის შესახებ, რომლის დონეც სავსებით შეესაბამებოდეს ჩვენი კადრების იდეური შეიარაღების ამოცანებს. ამავე დროს პროპაგანდისტულ მუშაობაში არის მთელი რიგი ნაკლოვანებანი. პროპაგანდის სიტყვიერი ფორმა ამ დრომდის პარტიული განათლების მთავარ ფორმას წარმოადგენდა. პარტიული ორგანიზაციები ნერგავდნენ მეცადინეობის წრეობრივ ფორმას, ნაცვლად იმისა, რომ დაენერგათ ბოლშევიკების უფროსი თაობის გამოცდილებაზე შემოწმებული მეთოდი კომუნისტების მიერ ბოლშევიკური პარტიის ისტორიისა და თეორიის შესწავლისა. ნაცვლად იმისა, რომ ფართოდ გამოეყენებინათ ბეჭდვითი სიტყვა, ბეჭდვითი პროპაგანდა (ამისათვის კი ჩვენ უდიდესი შესაძლებლობანი გვაქვს), ნაცვლად იმისა, რომ შეეერთებინათ პროპაგანდის ბეჭდვითი ფორმა, როგორც **მთავარი** ფორმა, სიტყვიერ ფორმასთან, პარტიული ორგანიზაციები გამოედევნენ კომუნისტების „ჩაბმას“ წრეებში და ხელიდან გაუშვეს პროპაგანდის არსებითი ხელმძღვანელობა.

ამგვარმა დამახინჯებებმა უსერიოზულესი გავლენა იქონიეს პროპაგანდის ხარისხზე. პარტიელებს ხედავდნენ დაწყებითი კლასების მუდმივ მოწაფეებად. პოლიტიკური მეცადინეობის ასეთი მეთოდები კომუნისტებს უკლავდნენ თავისი ნიჭის რწმენას, ბევრ კომუნისტს უკვე ეჩვენებოდა, რომ თეორიის დაუფლება—მეტად ძნელი, თითქმის შეუძლებელი საქმეა. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაჰგმო ამგვარი დამახინჯებანი. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ნათქვამია: „საჭიროა კომუნისტებს აღვუდგინოთ რწმენა, რომ მათ შესწევთ ძალა და უნარი დაეუფლონ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას“.

საკ. კ. პ. (ბ) ისტორია მიმართულია მომქმედი კადრებისა და მოსწავლე კადრებისადმი. ეს არის ჩვენი ახალი, საბჭოთა ინტელიგენცია, მუშათა კლასისა და გლეხობის ხორცი-ხორცთაგანი. ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ, რომ ჩვენმა საბჭოთა ხალხმა შექმნა თავისი ინტელიგენცია, რომლის უმაღლესი მიზანია — ემსახუროს ხალხს. (გამოტოვებულია) ინტელიგენცია დიდი პოლიტიკური ძალაა, ურომლისობაც არ შეუძლია არცერთ სახელმწიფოს, მით უმეტეს სსრ კავშირს — სახელმწიფოს, რომელიც მიმართულებას აძლევს მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგს.

ამავე დროს ჯერ კიდევ არ არის დაძლეული უგულვებელმყოფელი დამოკიდებულება ჩვენი ახალი, საბჭოთა ინტელიგენციისადმი. ჯერ კიდევ ვხვდებით ქედმაღლურ დამოკიდებულებას პარტიული და არაპარტიული ინტელიგენტისადმი, როგორც მეორე ხარისხის ადამიანისადმი, თუნდაც იგი გუშინდელი სტახანოველი იყოს. დროა აღმოვფხვრათ ასეთი ველური, ხულიგნური და სახელმწიფოსათვის საშიში დამოკიდებულება საბჭოთა ინტელიგენციისადმი.

ათზე მეტი წლის წინათ ამხანაგი სტალინი, გამოდიოდა რა კომკავშირის VIII ყრილობაზე, თავის სიტყვაში ამბობდა:

„ჩვენში არიან ადამიანები, რომლებიც მზად არიან ხოტბა შეასხან ჩვენს უკულტურობას. თუ შენ წერა-კითხვის უცოდინარი ხარ ან სწორად არ სწერ და თავი მოგაქვს შენი ჩამორჩენილობით, — შენ „დაზგის“ მუშა ხარ, შენ პატივსა გცემენ. თუ შენ ამოხვედი უკულტურობიდან, ისწავლე წერა-კითხვა, დაეუფლე მეცნიერებას, — შენ უცხო ხარ, შენ „მოსწყდი“ მასას, აღარახარ მუშა. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ერთი ნაბიჯითაც ვერ წავიწევთ წინ, ვიდრე არ აღმოვფხვრით ამ ბარბაროსობასა და ველურობას. მუშათა კლასი ვერ გახდება ქვეყნის ნამდვილი ბატონ-პატრონი, თუ იგი ვერ შესძლებს თავი დააღწიოს უკულტურობას, თუ იგი ვერ შესძლებს თავისი საკუთარი ინტელიგენციის შექმნას, თუ იგი არ დაეუფლება მეცნიერებას და ვერ შესძლებს მეურნეობის მართვას მეცნიერების საფუძველზე“.

მუშათა კლასმა, გლეხობამ შექმნეს თავისი ინტელიგენცია, რომელსაც უნდა ვაფასებდეთ და პატივს ვცემდეთ. არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ ჩვენი ინტელიგენციის ნაწილი, ჩვენი კადრების ნაწილი იმიტომ ჩაუვარდა ბრჭყალებში უცხოეთის ლაზუტჩიკებს, მათს ტროცკისტულ - ბუხარინულ და ბურჟუაზიულ - ნაციონალისტურ აგენტურას, რომ არა ჰქონდა პოლიტიკური წრთობა, იმიტომ, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა თავი მიანებეს ინტელიგენციის პოლიტიკური აღზრდის საქმეს.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, დაჰგმო რა წრეებში კომუნისტების რიცხვობრივი ჩაბმისადმი გამოდევნება, გამოიმუშავა ბოლშევიკური პროპაგანდის ორგანიზაციის ფართო პროგრამა. მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდას საფუძვლად დაედო „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“. ლექციები, კონსულტაციები, ბეჭდვითი პროპაგანდის ყველა ფორმები დაეხმარებიან მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შესწავლას. წრეებში მონაწილეობის მიღება წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ ნებაყოფლობით საქმეს და მათი რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირებული იქნება. გამომუშავებულია პარტიის ისტორიის დიფერენცირებული შესწავლის ფორმები, მითითებულია პროპაგანდისტების მომზადების სისტემა, ხაზგასმითაა აღნიშნული ბეჭდვითი პროპაგანდის გადამწყვეტი როლი, ლიკვიდირებულია ბეჭდვითი პროპაგანდის მოწყვეტა სიტყვიერი პროპაგანდისაგან.

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის გამოსვლა უნდა გახდეს დასაწყისი ჩვენი კადრების მობრუნებისა თავისი თეორიული ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისაკენ. პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა — ფართოდ განმარტონ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ეს გადაწყვეტილება.

თეორიული ფრონტის მუშაკების წინაშე განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ამოცანები ისახება. მათ გადაჭრით და სწრაფად უნდა მოუღონ ბოლო თეორიული აზროვნების შეუწყნარებელ ჩამორჩენას, აქტუალური თეორიული საკითხების გაბედულად დაყენების შიშს, უნდა აღმოფხვრან ასოკირკიტობა, სქოლასტიკა, მარქსიზმ-ლენინიზმის ცალკეული დებულებების ვულგარიზაცია, გაბედულად დააყენონ თეორიული საკითხები, რომლებიც წინ სწევენ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას.

„დაეუფლებიან რა მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას, რომელიც გვაიარაღებს საზოგადოებრივი განვითარების კანონების ცოდნით, ჩვენი კადრები ნამდვილად უძლეველნი გახდებიან და ამ თეორიის დროშის ქვეშ, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით კიდევ უფრო წარმატებით წაიყვანენ მთელ საბჭოთა ხალხს კომუნიზმის გამარჯვებისაკენ“.

„პრავდის“ მოწინავე. 15/XI.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

I

„საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოსვლა უდიდესი მოვლენაა ბოლშევიკური პარტიის იდეურ ცხოვრებაში. „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოსვლით პარტიამ მიიღო ბოლშევიზმის ახალი მძლავრი იდეური იარაღი, მარქსიზმ-ლენინიზმის დარგში ძირითად ცოდნათა ენციკლოპედია. პარტიის ისტორიის კურსი ბოლშევიზმის მეცნიერული ისტორიაა. მასში გადმოცემული და განზოგადებულია კომუნისტური პარტიის გიგანტური გამოცდილება, რომლის თანაბარი არც ჰქონია და არცა აქვს არცერთ პარტიას მსოფლიოში.

„საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის მოკლე კურსი“ წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს საშუალებას ბოლშევიზმის დაუფლების ამოცანის გადაჭრის, მარქსისტულ - ლენინური თეორიით, ე. ი. საზოგადოებრივი განვითარების და პოლიტიკური ბრძოლის კანონების ცოდნით პარტიის წევრთა შეიარაღების საქმეში, პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების პოლიტიკური სიფხიზლის ამაღლების საშუალებას, მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის საქმის ჯეროვან თეორიულ სიმაღლეზე აყვანის საშუალებას.

ჰქმნიდა რა „საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის მოკლე კურსს“, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი გამოდიოდა შემდეგი ამოცანებიდან:

1) საჭირო იყო მიგვეცა პარტიისათვის პარტიის ისტორიის ერთიანი სახელმძღვანელო, ისეთი სახელმძღვანელო, რომელიც წარმოადგენს საკ. კ. პ. (ბ) ისტორიისა და მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითადი საკითხების ოფიციალურს, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ შემოწმებულ განმარტებას, რომელიც შეუძლებელს ჰხდის რაიმე თვითნებურ განმარტებას. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწონებული „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის კურსის“ გამოცემით ბოლო ეღება თვითნებობასა და არევდარევას პარტიის ისტორიის გადმოცემაში, სხვადასხვა თვალსაზრისთა და პარტიის თეორიისა და პარტიის ისტორიის უმნიშვნელოვანესი საკითხების თვითნებურ განმარტებათა სიმრავლეს, რასაც ადგილი ჰქონდა პარტიის ისტორიის მთელ რიგ წინათ გამოცემულ სახელმძღვანელოებში.

2) ჰქმნიდა რა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს“, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ამოცანად ისახავდა მოესპო ის მავნე გათიშვა პროპაგანდის დარგში მარქსიზმსა და ლენინიზმს შორის, რომელიც უკანასკნელ წლებში გაჩნდა და რომელსაც ის მოჰყვა, რომ ლენინიზმს ასწავლიდნენ როგორც დამოუკიდებელ მოძღვრებას მარქსიზმისაგან მოწყვეტით, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმისაგან მოწყვეტით, პარტიის ისტორიისაგან მოწყვეტით, ივიწყებდნენ რა, რომ ლენინიზმი გაიზარდა და განვითარდა მარქსიზმის საფუძველზე, რომ მარქსიზმი ლენინიზმის საფუძველია, რომ ლენინიზმის ამ საფუძვლის უცოდინრად არ შეიძლება ლენინიზმის გაგება.

ჰქმნიდა რა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის კურსს“, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი თავის ამოცანად ისახავდა მოეცა საკ. კ. პ. (ბ) თეორიისა და ისტორიის ისეთი სახელმძღვანელო, რომელშიაც ერთ მთლიანად იქნებოდა შეერთებული ერთიანი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ხელოვნურად დაქუცმაცებული შემადგენელი ნაწილები — დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი და ლენინიზმი, ხოლო ისტორიული მატერიალიზმი დაკავშირებული იქნებოდა პარტიის პოლიტიკასთან, —სახელმძღვანელო, რომელშიაც ნაჩვენები იქნებოდა მარქსისა და ლენინის მოძღვრების განუწყვეტელი ერთიანობა, მთლიანობა და მემკვიდრეობითობა, მარქსიზმ-ლენინიზმის ერთიანობა, და გადმოცემული იქნებოდა ის ახალი, რაც შეიტანეს ლენინმა და მისმა მოწაფეებმა მარქსისტულ თეორიაში იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქაში პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ახალი გამოცდილების განზოგადების საფუძველზე.

3) ზოგიერთი ძველი სახელმძღვანელოსაგან განსხვავებით, რომელნიც საკ. კ. პ. (ბ) ისტორიას გადმოგვცემდნენ უწინარეს ყოვლისა ისტორიულ პიროვნებათა გარშემო და რომლებსაც მიზნად ჰქონდათ კადრების მომზადება პიროვნებათა და მათი ბიოგრაფიების საშუალებით, — „მოკლე კურსი“ პარტიის ისტორიას გადმოგვცემს მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითადი იდეების გაშლის საფუძველზე და მიზნად ისახავს პარტიული კადრების აღზრდას, პირველ რიგში, მარქსიზმ-ლენინიზმის **იდეებით**.

ჰქმნიდა რა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს“, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი გამოდიოდა იმ ამოცანიდან, რომ გადმოეცა მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება ისტორიული ფაქტების საფუძველზე. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს მხედველობაში ჰქონდა, რომ მარქსისტულ-ლენინური თეორიის ასეთი გადმოცემა ყველაზე უფრო მეტად შეესაბამება საქმის ინტერესებს, რადგან ისტორიული ფაქტებით უკეთ, უფრო ბუნებრივად და უფრო გასაგებად შეიძლება მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითადი იდეების დემონსტრირება, რადგან თვით ისტორია საკავშირო კომუნისტური პარტიისა (ბ) არის მარქსიზმ-ლენინიზმი მოქმედებაში, რადგან მარქსისტულ - ლენინური თეორიის სისწორე და ცხოველმყოფელობა შემოწმებულია პრაქტიკით, პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის გამოცდილებით, და თვით მარქსისტულ-ლენინური თეორია ვითარდებოდა და მდიდრდებოდა პრაქტიკასთან უმჭიდროესად დაკავშირებით, პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის პრაქტიკული გამოცდილების განზოგადების საფუძველზე.

4) ჰქმნიდა რა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს“, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ამოცანად ისახავდა გაეთავისუფლებინა მარქსისტული ლიტერატურა გაუბრალოებისა და ვულგარიზაციისაგან მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიისა და პარტიის ისტორიის მთელი რიგი საკითხების განმარტებაში.

ამგვარმა ვულგარიზაციამ და გაუბრალოებამ გამოხატულება ჰპოვეს, მაგალითად, ბოლო დრომდე გავრცელებულ, აშკარად ანტიმარქსისტულ და პარტიის მიერ დიდიხანია დაგმობილ შეხედულებებში პიროვნების როლის შესახებ ისტორიაში, როცა ისტორიაში პიროვნების როლის საკითხს ზოგიერთი ცრუთეორეტიკოსები და პროპაგანდისტები გადმოგვცემდნენ ნახევრადესერული პოზიციებიდან.

მარქსიზმ - ლენინიზმის ამგვარ ვულგარიზატორობასა და გაუბრალოებას ეკუთვნის არასწორი განმარტება საკითხისა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ.

ფართოდ იყო გავრცელებული დამახინჯებანი მარქსისტულ-ლენინური შეხედულებებისა თანამედროვე ეპოქაში ომების ხასიათის საკითხზე, ვერგაგება განსხვავებისა სამართლიანსა და უსამართლო ომებს შორის, არასწორი შეხედულება ბოლშევიკებზე, როგორც თავისებურ „პაციფისტებზე“.

ისტორიულ მეცნიერებაში ანტიმარქსისტული დამახინჯებანი და ვულგარიზატორობა ბოლო დრომდე დაკავშირებული იყო პოკროვსკის ეგრეთწოდებულ „სკოლასთან“, რომელიც დამახინჯებულად განმარტავდა ისტორიულ ფაქტებს, აშუქებდა მათ, წინააღმდეგ ისტორიული მატერიალიზმისა, არა იმ პირობების თვალსაზრისით, რომელთა ვითარებაშიც მიმდინარეობდა ისტორიული მოვლენები, არამედ დღევანდელი დღის თვალსაზრისით და ამით ამახინჯებდა ნამდვილ ისტორიას.

ნამდვილი ისტორიის ანტიისტორიული ფალსიფიკაცია, ისტორიის შეფერადების ანტიისტორიული ცდები, მისი მართლად გადმოცემის ნაცვლად, იწვევდნენ, მაგალითად, იმას, რომ ჩვენს პროპაგანდაში პარტიის ისტორიას ზოგჯერ ხატავდნენ როგორც განუწყვეტელ გამარჯვებათა გზას, რაიმე დროებითი დამარცხებათა და უკანდახევათა გარეშე, რაც აშკარად ეწინააღმდეგება ისტორიულ სიმართლეს და ამით ხელს უშლის კადრების სწორ აღზრდას.

ანტიმარქსისტულმა ვულგარიზატორულმა დომხალმა თავი იჩინა აგრეთვე საბჭოთა სახელმწიფოს შესახებ არასწორ შეხედულებათა გავრცელებაში, იმ როლისა და მნიშვნელობის დამცირებაში, რომელიც აქვს სოციალისტურ სახელმწიფოს, როგორც სოციალიზმის გამარჯვებისა და კაპიტალისტური გარემოცვისაგან მშრომელების სოციალისტურ მონაპოვართა დაცვის მთავარ იარაღს მუშათა და გლეხთა ხელში.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, აღადგენს რა მარქსიზმ-ლენინიზმის დებულებებს, ბოლოს უღებს მარქსიზმ-ლენინიზმის ამ და სხვა ამგვარ ვულგარიზაციასა და შერყვნას.

5) ჰქმნიდა რა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს“, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი თავის ამოცანად ისახავდა თვალსაჩინოდ ცხადეყო ძალა და მნიშვნელობა მარქსისტულ-ლენინური თეორიისა, რომელიც მეცნიერულად ხსნის საზოგადოების განვითარების კანონებს, — თეორიისა, რომელიც გვასწავლის ამ კანონების გამოყენებას პროლეტარიატის რევოლუციური მოქმედებისადმი ხელმძღვანელობისათვის, — თეორიისა, რომელიც, როგორც ყოველი მეცნიერება, განუწყვეტლივ ვითარდება და უმჯობესდება და რომელსაც არ ეშინია შესცვალოს ცალკეული მოძველებული დებულებანი და დასკვნები ახალი ისტორიული პირობების შესაბამისი ახალი დასკვნებითა და დებულებებით.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი იქიდან გამოდიოდა, რომ ჩვენი კადრები, თუ მათ არ ეცოდინებათ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორია, თუ ისინი არ დაეუფლებიან ბოლშევიზმს და არ დასძლევენ თავის თეორიულ ჩამორჩენილობას, ორივე ფეხით იკოჭლებენ, რადგან სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგის სწორი ხელმძღვანელობის ამოცანა მოითხოვს, რათა პრაქტიკოსები დაეუფლონ მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძვლებს, მოითხოვს შესწევდეთ უნარი იხელმძღვანელონ თეორიით პრაქტიკული მოღვაწეობის საკითხთა გადაჭრის დროს.

შეცდომა იქნება ვიფიქროთ, თითქოს თეორიის დაუფლების ამოცანის დაძლევა შეუძლია მუშაკთა მხოლოდ მცირე ჯგუფს. მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლება შესაძენი საქმეა. სწორედ ახლა, სსრ კავშირში საბჭოთა ხელისუფლებისა და სოციალიზმის გამარჯვების დროს, შექმნილია განუსაზღვრელი შესაძლებლობანი იმისათვის, რათა ჩვენი ხელმძღვანელი კადრები წარმატებით ეუფლებოდნენ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, სწავლობდნენ პარტიის ისტორიას, მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის ნაშრომებს. იმისათვის, რომ დავეუფლოთ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას, უნდა გამოვიჩინოთ მხოლოდ სურვილი, დაჟინება და ხასიათის სიმტკიცე ამ მიზნის მიღწევაში. თუ კი შესაძლებელია წარმატებით დავეუფლოთ ისეთ მეცნიერებას, როგორიც არის, მაგალითად, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, მით უმეტეს არა გვაქვს საფუძველი დავეჭვდეთ, რომ შესაძლებელია სავსებით დავეუფლოთ მარქსიზმ-ლენინიზმის მეცნიერებას.

6) ჰქმნიდა რა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის კურსს“, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ამოცანად ისახავდა დახმარება აღმოეჩინა იმ კადრებისათვის, რომლებიც თეორიულ და პროპაგანდისტულ მუშაობას ეწევიან, იმაში, რომ გარდაექმნილიყვნენ, გაეუმჯობესებინათ მუშაობის ხარისხი, დაეწყოთ თავისი თეორიული ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია. აღმოეფხვრათ ნაკლოვანებანი და ხარვეზები თავიანთ იდეოლოგიურ მომზადებაში და სათანადო სიმაღლეზე აეყვანათ პროპაგანდისტული მუშაობა.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახული ყველა ეს ამოცანა გადაჭრილ იქნა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსით“.

II

როგორია პროპაგანდისტული მუშაობის ძირითადი ნაკლოვანებანი?

რა მიმართულებით არის საჭირო პარტიის პროპაგანდისტული და თეორიული მუშაობის გარდაქმნა?

1) პარტიული პროპაგანდის დაყენების ძირითად ნაკლს ის წარმოადგენს, რომ არ არსებობს პარტიული პროპაგანდისადმი ხელმძღვანელობის საჭირო ცენტრალიზაცია და აქედან გამომდინარეობს კუსტარულობა, არაორგანიზებულობა პროპაგანდის საქმეში.

კუსტარულობა და არაორგანიზებულობა პარტიული პროპაგანდის დარგში უწინარეს ყოვლისა იმით გამოიხატა, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა პროპაგანდის ძირითად ფორმად აირჩიეს სიტყვიერი პროპაგანდა წრეების საშუალებით, დაივიწყეს რა, რომ პროპაგანდის წრეობრივი მეთოდი უმთავრესად პარტიის არალეგალურ პერიოდს სჩვეოდა. იმ პირობათა გამო, რომლებშიც მაშინ პარტიას მუშაობა უხდებოდა, და რომ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში და მაშინ, როდესაც ბოლშევიკურ პარტიას პროპაგანდის ისეთი მძლავრი იარაღი აქვს ხელში, როგორიც არის ბეჭდვითი სიტყვა, შექმნილია სრულიად ახალი პირობები და შესაძლებლობანი პროპაგანდის განუსაზღვრელი გაქანებისა და მისდამი ცენტრალიზებული ხელმძღვანელობისათვის.

ნაცვლად იმისა, რომ გამოიყენონ ეს შესაძლებლობანი, პარტიული ორგანიზაციები პროპაგანდის კვლავ ძველ ფორმებს ებღაუჭებიან და არ ითვალისწინებენ იმას, რომ წრეები დღევანდელ პირობებში უკვე აღარ შეიძლება წარმოადგენდნენ ჩვენი კადრებისათვის ბოლშევიზმის სწავლების მთავარ მეთოდს, რომ კადრებისათვის მარქსიზმ-ლენინიზმის სწავლების ძირითად მეთოდს უნდა წარმოადგენდეს ბოლშევიკების უფროსი თაობის გამოცდილებაზე შემოწმებული მეთოდი ბოლშევიკური პარტიის ისტორიისა და თეორიის დამოუკიდებელი შესწავლისა, ხოლო პარტია უნდა დაეხმაროს კადრებს ამ მხრივ პრესის საშუალებით და ცენტრალიზებული მაღალკვალიფიციური კონსულტაციის მოწყობით, იმ საკითხებზე, რომლებიც მათს წინაშე წამოიჭრება შესწავლის პროცესში, დაეხმაროს ლექციების, მოხსენებების და სხვ. საშუალებით.

აირჩიეს რა პროპაგანდის ძირითად მეთოდად სიტყვიერი პროპაგანდა წრეების საშუალებით, პარტიული ორგანიზაციები გაიტაცა შეცდარმა წამოწყებამ გაეერთიანებინათ წრეებში ყველა კომუნისტი, აეღოთ გეზი იმაზე, რომ რაოდენობრივად გაეფართოვებინათ პარტიული წრეების ქსელი და გამოდევნებოდნენ უკლებლივ ყველა კომუნისტის, და თანაც სავალდებულო წესით, ხელაღებით „ჩაბმას“ პარტიულ წრეებში.

წრეების რაოდენობისადმი გამოდევნებით პარტიულმა ორგანიზაციებმა ხელიდან გაუშვეს მთავარი რგოლი — პროპაგანდის ხარისხი.

წრეების სიუხვემ, წაართვა რა პარტიულ ორგანიზაციებს პროპაგანდისტული მუშაობისათვის არსებითი კონტროლის გაწევის შესაძლებლობა, ის გამოიწვია, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა ხელიდან გაუშვეს პროპაგანდის ხელმძღვანელობა და იმით შემოფარგლეს თავიანთი მოქმედება, რომ უმთავრესად ჰკრებენ კანცელარიულ-სტატისტიკურ ცნობებს წრეებში სწავლებისათვის კომუნისტების „ჩაბმისა“, მათი რიცხვობრიობისა და დასწრების შესახებ. ამის შედეგად წრეები გადაიქცნენ ავტონომიურ და უკონტროლო ორგანიზაციებად, რომლებიც მუშაობას თავისი რისკითა და პასუხისმგებლობით აწარმოებენ.

წრეების სიუხვემ, შემდეგ, ის გამოიწვია, რომ პროპაგანდისტთა კადრები სავსე აღმოჩნდნენ თეორიულად ნაკლებად მომზადებული, ხოლო ხშირად პოლიტიკურად უცოდინარი და შეუმოწმებელი ადამიანებით, რომელთაც არა თუ არ შეუძლიათ დახმარება აღმოუჩინონ პარტიის წევრებსა და უპარტიოებს ბოლშევიზმის დაუფლებაში, არამედ მხოლოდ იმის უნარი აქვთ, რომ მარქსისტულ-ლენინური თეორიის გადმოცემა შესცვალონ საზიანო გაუბრალოებით და დააბნიონ თავიანთი მსმენელები.

პარტიული ორგანიზაციები პროპაგანდისტების რაოდენობას გამოედევნენ და ხელიდან გაუშვეს პროპაგანდისტთა კადრების მომზადებისა და გადამზადების თეორიული ხელმძღვანელობა და წრეებში პროპაგანდისტების მუშაობის კონტროლი. ნაცვლად იმისა, რომ მოეხდინათ პროპაგანდისტების მიმართ ხელმძღვანელობის ცენტრალიზება და ამით უზრუნველეყოთ პროპაგანდისტებთან მუშაობის ხარისხის ამაღლება, პარტორგანიზაციებმა ამ საქმეშიც შეცდომით აიღეს კურსი რაოდენობაზე, დააქუცმაცეს პროპაგანდისტთა კადრებისათვის დახმარების გაწევის საქმე იმით, რომ დიდი რაოდენობით შექმნეს პარტკაბინეტები საწარმოებთან, პროპაგანდისტთა სემინარები, პროპაგანდისტთა მოკლევადიანი კურსები და სხვ. ხარისხის საზიანოდ ამ დაწესებულებათა რაოდენობისათვის გამოდევნებას ის მოჰყვა, რომ პარტკაბინეტები და პროპაგანდისტთა სემინარები საჭირო პარტიულ ხელმძღვანელობას მოკლებულნი აღმოჩნდნენ, ხოლო პროპსემინარებისა და პარტკაბინეტების ხელმძღვანელთა კვალიფიციური კადრების ნაკლებობას მოჰყვა პროპსემინარებისა და პარტკაბინეტების მუშაობის ხარისხის გაუარესება, პროპაგანდისტების დაუკმაყოფილებლობა მათში საქმის დაყენებით, ამ გამოდევნებამ სემინარებსა და კაბინეტებში სიარული ფორმალურ ვალდებულებად გადააქცია.

გადააქციეს რა წრეებში სიარული პარტიის წევრების ვალდებულებად, უყურებდნენ რა პარტიულებს, როგორც დაწყებითი კლასების მუდმივ მოწაფეებს, რომელთაც არ შესწევთ იმის უნარი, რომ დამოუკიდებლად შეისწავლონ მარქსიზმ-ლენინიზმი, პარტორგანიზაციებმა მთელ რიგ ადმინისტრატიულ ხრიკებს მიმართეს იმისათვის, რომ წრეებში ჩაებათ და შეენარჩუნებინათ პარტიის წევრები, კომუნისტების მიმართ წვრილმანი მეურვეობისა და წრეებში მათი მუშაობის რეგლამენტაციის გზას დაადგნენ.

წრეების მუშაობაში დამკვიდრდა არასწორი და პარტიის წევრთა იდეურ-პოლიტიკური ზრდის შემაფერხებელი სკოლარული მეთოდები, რაც იმით გამოიხატა, რომ ყველა წრისათვის სწავლების „ერთიანი დღეები“, მათი მუშაობის ერთიანი რეგლამენტები შემოიღეს, საუბრისა და ცოცხალი ამხანაგური დისკუსიის მეთოდი განდევნეს წრეებიდან.

პარტორგანიზაციები ამით არ დაკმაყოფილდნენ და ხელი მიჰყვეს ბიუროკრატიულ და მავნე საქმეს — „კონტროლი გაეწიათ“ მარქსისტულ-ლენინური წიგნის თვითეული მკითხველისათვის და აეძულებინათ, რათა ანგარიში ჩაებარებინათ წაკითხულში.

საპროპაგანდო მუშაობაში ამ არასწორ მიზანდასახულობათა შედეგად კომუნისტებს, რომელნიც ვალდებულნი არიან მთელი რიგი წლების განმავლობაში ერთსადაიმავე წრეებში იმეცადინონ და რომელნიც მოკლებულნი არიან სათანადო დახმარებას იმისათვის, რომ შინ შეისწავლონ მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურა, თეორიული მომზადების ინტერესი ეკარგებათ, ხოლო წრეების მეცადინეობაზე დასწრება ხშირად მძიმე ტვირთად იქცევა.

წრეებში შესვლისას ნებაყოფლობის პრინციპის დარღვევამ, წრეებში პარტიის წევრების მექანიკური, იძულებითი ჩარიცხვის ბიუროკრატიულ-ადმინისტრატიულმა პრაქტიკამ, არასწორმა შეხედულებამ წრეებზე, როგორც პარტიული განათლების ერთადერთ ფორმაზე, პარტიულებს იმის რწმენა შეურყია, რომ მათ დამოუკიდებელი კითხვის გზით

(გაგრძელება იხ. მე-2 გვ.)

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაურებისათვის საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა კავშირის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების საქმეში მთავრობის სპეციალურ დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისა და გამოჩენილი გმირობისათვის მიენიჭოთ საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება **ლენინის** ორდენის გადაცემით:

1. კაპიტან-ლეიტენანტს ივანე ალექსის-ძე **ბურმისტროვს**.
2. მაიორს ალექსანდრე ივანეს-ძე **გუსევს**.
3. ლეიტენანტს ალექსანდრე გიორგის-ძე **რომანოვს**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი.
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი.
1938 წ. 14 ნოემბერი.

უკანასკნელი ცნობები

გამოხმაურება ამერიკის შეერთებულ შტატებში ებრაელთა დარბევის გამო გერმანიაში

ვაშინგტონი, 14 ნოემბერი (საკდესი). 12 ნოემბერს სახელმწიფო მდივანმა (ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრმა) ჰელმა თავისთან მიიწვია გერმანიის ელჩი დიკჰოფი.

საუბარი 15 წუთს გაგრძელდა. საუბრის შინაარსი არ გამოუქვეყნებიათ. ფიქრობენ, რომ ჰელმა წარდგენებით მიმართა ელჩს გერმანიაში ებრაელთა დარბევის გამო, რამაც ფართო პროტესტები გამოიწვია მთელს ამერიკაში.

როგორც ამერიკის პრესა იუწყება, სენატორმა კინგმა (დემოკრატი) შეიტანა წინადადება გერმანიის ფაშისტების მიერ ებრაელთა დევნის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად გერმანიასთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ.

სოციალისტური შეჯიბრება საქართველოს და უკრაინის კოლმეურნეობათა შორის

მახარაძე, 15 ნოემბერი (**ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.**). უკრაინის მშრომელთა დელეგაციამ დაათვალიერა სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ჩაისა და ციტრუსების პლანტაციები. კოლმეურნეობის სტახანოველები დელეგატებს აძლევდნენ დაწვრილებით ახსნა-განმარტებას ამ კულტურების მოვლის წესებზე.

კოლმეურნეობა „ნოვი აზოვის“ თავმჯდომარე ამხ. მარფა კიბა იმდენად დაინტერესდა ჩაის კულტურით, რომ მას თან მიაქვს ჩაის თესლი კოლმეურნეობაში ცდის სახით დასათესად.

პლანტაციების დათვალიერების შემდეგ უკრაინელი სტუმრები შეუდგნენ სოციალისტური შეჯიბრების მუხლების შემოწმებას. შემოწმებამ ცხადჰყო შრომის კოლმეურნეობის მნიშვნელოვანი წარმატებანი მიმდინარე წლის გეგმების შესრულებაში.

სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობისა და გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებმა 1939 წლის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის ურთიერთშორის გააფორმეს სოციალისტური შეჯიბრების ახალი ხელშეკრულება.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

(გაგრძელება)

შეუძლიათ წარმატებით შეისწავლონ მარქსიზმ-ლენინიზმი. ამით ზიანი მიადგა კომუნისტების მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების ღრმად, დამოუკიდებლად შეთვისების საქმეს, პარტიული კადრების იდეურ ზრდას.

საჭიროა აღვუდგინოთ კომუნისტებს მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებისათვის თავისი ძალისა და უნარის რწმენა.

საჭიროა გავაქარწყლოთ საზიანო ცრურწმენა, თითქოს მარქსიზმ-ლენინიზმის სწავლა შეიძლება მხოლოდ წრეში, მაშინ როდესაც სინამდვილეში მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლის მთავარ და ძირითად საშუალებას დამოუკიდებელი კითხვა წარმოადგენს.

2) პრესის საშუალებით წარმოებული პროპაგანდის საზიანოდ წრეობრივი მუშაობისა და საერთოდ სიტყვიერი პროპაგანდის განუზომლად გაბერვის ერთერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენს საზიანო გათიშვა ბეჭდვითი და სიტყვიერი პროპაგანდის ორგანიზაციაში, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა პროპაგანდის განყოფილებებისა და ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებების ცალცალკე არსებობაში როგორც საოლქო და სამხარეო კომიტეტებსა და ნაცკომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებში, ისე საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპარატშიაც.

მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდაში მთავარ, გადამწყვეტ იარაღს უნდა წარმოადგენდეს ბეჭდვითი სიტყვა — ჟურნალები, გაზეთები, ბროშურები, ხოლო სიტყვიერ პროპაგანდას უნდა ეჭიროს დამხმარე, ხელშემწყობი ადგილი. ბეჭდვითი სიტყვა შესაძლებლობას იძლევა ესა თუ ის ჭეშმარიტება ერთბაშად გახადოს ყველას საკუთრებად, ამიტომ იგი სიტყვიერ პროპაგანდაზე უფრო ძლიერია. ხოლო პროპაგანდის ხელმძღვანელობის განაწილებამ ორ განყოფილებას შორის გამოიწვია ბეჭდვითი სიტყვის როლის შემცირება მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდაში და ამით ბოლშევიკური პროპაგანდის გაქანების შევიწროება, კუსტარულობა და არაორგანიზებულობა.

პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებებმა, შეზღუდეს რა თავიანთი საქმიანობა სიტყვიერი პროპაგანდით, გამოედევნენ რა წრეების რაოდენობას, პროპაგანდის საქმისათვის არ გამოიყენეს პარტიული პრესა და ამის შედეგად შესაძლებლობა მოუსპეს თავის თავს — არსებითად გაეწიათ ხელმძღვანელობა პროპაგანდისათვის.

თავის მხრით ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებები, მოკლებულნი პროპაგანდისტთა საჭირო კვალიფიციურ კადრებს, რომელნიც თითქმის მთლიანად ჩაეფლნენ სიტყვიერ პროპაგანდაში, უუნარონი აღმოჩნდნენ გაეწიათ მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდა ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით.

3) უმნიშვნელოვანეს ნაკლს პარტიული პროპაგანდის საქმეში წარმოადგენს ის, რომ პარტიული ორგანიზაციები უყურადღებოდ ეპყრობიან ჩვენი კადრების, ჩვენი საბჭოთა ინტელიგენციის, — პარტიული, კომკავშირული, საბჭოთა, სამეურნეო, კოოპერატიული, სავაჭრო, პროფკავშირული, სასოფლო-სამეურნეო, საგანმანათლებლო და სამხედრო კადრების, ე. ი. პარტიული, სახელმწიფო და საკოლმეურნეო აპარატის კადრების პოლიტიკური მომზადებისა და მარქსისტულ-ლენინური გამობრძმედის საქმეს, რომელთა დახმარებითაც ჰმართავენ მუშათა კლასი და გლეხობა საბჭოთა ქვეყანას. ჩვენი პარტიული პროპაგანდის პრაქტიკამ, რომელიც წარიმართა უმთავრესად იმაზე, რომ მოიცვას დაზგის მუშები, მხედველობიდან გაუშვა მეთაურთა კადრები — ჩვენი საბჭოთა, პარტიული და არაპარტიული ინტელიგენცია, რომელიც გუშინდელი მუშებისა და გლეხებისაგან შედგება.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი" ერთერთ თავის ამოცანად ისახავს ბოლო მოუღოს ამ ველურ, ანტილენინურ, უგულებელმყოფელ დამოკიდებულებას ჩვენი, საბჭოთა ინტელიგენციისადმი და მისი პოლიტიკური, ლენინური აღზრდის საჭიროებებისადმი.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი" მიმართულია, უპირველეს ყოვლისა, პარტიულ, კომკავშირულ, სამეურნეო და სხვა მუშაკთა ხელმძღვანელი კადრებისადმი, მთელი ჩვენი პარტიული და არაპარტიული ინტელიგენციისადმი როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

ჩვენი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და სხვა ხელმძღვანელი ლენინური კადრები, პრაქტიკული მუშაობით გართულნი, ძლიერ ჩამორჩნენ თეორიის დარგში. ჰქმნიდა რა პარტიის ისტორიის კურსს, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ამოცანად ისახავდა დაეწყო ჩვენი კადრების ამ თეორიული და პოლიტიკური ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი გამოდიოდა იქიდან, რომ „...ჩვენ რომ შევძლებდეთ, ჩვენ რომ მოვახერხებდეთ ჩვენი პარტიული კადრები, თავიდან ბოლომდე, იდეოლოგიურად მოვამზადოთ და იმგვარად გამოვაწრთოთ ისინი პოლიტიკურად, რომ მათ შეეძლოთ თავისუფლად გარკვევა საშინაო და საერთაშორისო ვითარებაში, ჩვენ რომ შევძლებდეთ გავხადოთ ისინი სავსებით მომწიფებულ ლენინელებად, მარქსისტებად, რომელთაც ექნებათ უნარი გადაჭრან სერიოზული შეცდომების დაუშვებლად ქვეყნის ხელმძღვანელობის საკითხები, ჩვენ ამით გადავჭრიდით ყველა ჩვენი ამოცანის ცხრა მეათედს" (სტალინი).

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი გამოდიოდა იქიდან, რომ ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ხელოვნება მოითხოვს თეორიის ცოდნას, ე. ი. საზოგადოების განვითარების კანონების, მუშათა მოძრაობის განვითარების, პროლეტარული რევოლუციის განვითარების, სოციალისტური მშენებლობის განვითარების კანონების ცოდნას და იმის უნარს, რომ გამოვიყენოთ ეს კანონები პრაქტიკულ მუშაობაში სოციალისტური მშენებლობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად.

ყველა ჩვენი კადრები საბჭოთა ინტელიგენციის უზარმაზარ არმიას შეადგენენ. საბჭოთა ინტელიგენცია მთელი თავისი ფესვებით დაკავშირებულია მუშათა კლასთან და გლეხობასთან. ეს სრულიად ახალი ინტელიგენციაა, რომლის მსგავსიც მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არ არის.

არცერთ სახელმწიფოს არ შეეძლო და არ შეუძლია იოლად გავიდეს, თუ მას თავისი ინტელიგენცია არა ჰყავს, მით უფრო ვერ გავა იოლად მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფო თავისი ინტელიგენციის გარეშე. ჩვენს ინტელიგენციას, საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაზრდილს, შეადგენენ სახელმწიფო აპარატის კადრები, რომელთა დახმარებითაც ეწევა მუშათა კლასი თავის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ესენი არიან გუშინდელი მუშები და გლეხები და მუშათა და გლეხთა შვილები, რომელნიც ხელმძღვანელ პოსტებზე დაწინაურდნენ. ინტელიგენციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ისეთ ქვეყანაში, როგორიც არის ჩვენი ქვეყანა, სადაც სახელმწიფო წარმართავს მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგს, მათ შორის სოფლის მეურნეობასაც, და სადაც თვითოეულ სახელმწიფო მუშაკს იმისათვის, რომ მან თავისი მუშაობა შეგნებულად და წარმატებით შეასრულოს, უნდა ესმოდეს სახელმწიფოს პოლიტიკა, მისი ამოცანები ქვეყნის გარეთ და შიგნით.

მაშასადამე, საბჭოთა ინტელიგენციის მარქსისტულ-ლენინური აღზრდის ამოცანა ბოლშევიკების პარტიის ერთერთი ყველაზე უპირველესი და უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ მიუხედავად ინტელიგენციის ესოდენ დიდმნიშვნელოვანი როლისა საბჭოთა სახელმწიფოში, დღემდე ჯერ კიდევ არ არის დაძლეული უგულებელმყოფელი დამოკიდებულება ჩვენი ინტელიგენციისადმი, რაც წარმოადგენს ინტელიგენციის შესახებ იმ შეხედულებათა და ინტელიგენციასთან იმ ურთიერთობათა ფრიად მავნე გადმოტანას ჩვენს საბჭოთა ინტელიგენციაზე, რომლებიც გავრცელებული იყო რევოლუციამდელ პერიოდში, როცა ინტელიგენცია მემამულეთა და კაპიტალისტთა სამსახურში იმყოფებოდა.

ეს უგულვებელმყოფელი დამოკიდებულება ინტელიგენციისადმი თავის გამოხატულებას პოულობს იმაში, რომ მივიწყებულია იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა კადრებთან, მიტოვებულია პოლიტიკური მუშაობა ინტელიგენციაში, მოსამსახურეებსა, მასწავლებლებსა და ექიმებს შორის, სტუდენტობაში, კოლმეურნე ინტელიგენციაში და სხვ., იმაში, რომ უგულვებელმყოფელ-ქედმაღლურ დამოკიდებულებას იჩენენ პარტიული და არაპარტიული ინტელიგენტისადმი, როგორც მეორე ხარისხის ადამიანისადმი, თუნდაც ეს გუშინდელი სტახანოველი იყოს, რომელიც თავისი დამსახურებათა გამო დაწინაურებულია საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელ პოსტზე.

საბჭოთა ინტელიგენციისადმი ასეთი ანტიბოლშევიკური დამოკიდებულება ველურ, ხულიგნურ და საბჭოთა სახელმწიფოსათვის საშიშ მოვლენას წარმოადგენს. საჭიროა შევიგნოთ — სწორედ იმ გარემოებამ, რომ ინტელიგენციაში, ჩვენს კადრებს შორის მივიწყებულია პოლიტიკური მუშაობა, ის გამოიწვია, რომ ჩვენი კადრების ნაწილი, რომელიც პარტიის პოლიტიკური გავლენის გარეშე აღმოჩნდა და რომელიც მოკლებული იყო იდეურ გამოწრთობას, პოლიტიკურად გადასცდა, გზა-კვალი აებნა და უცხოეთის დაზვერვათა და მათი ტროცკისტულ-ბუხარინული და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური აგენტურის კერძი გახდა.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი სთვლის, რომ ინტელიგენციისადმი ამ „მახაევურ", ანტილენინურ დამოკიდებულებას ბოლო უნდა მოეღოს.

საჭიროა აღვზარდოთ საბჭოთა ინტელიგენცია მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებით.

ასეთი ინტელიგენციის გარეშე საბჭოთა სახელმწიფო წარმატებით ვერ უხელმძღვანელებს ქვეყანას.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი" საბჭოთა ინტელიგენციის ასეთი აღზრდის საშუალებას წარმოადგენს.

III

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენს:

1. არასწორად ჩაითვალოს პრაქტიკა პარტგანათლების ქსელის წრეებში ჩაბმული კომუნისტების რაოდენობისათვის გამოდევნებისა პროპაგანდის ხარისხის საზიანოდ, პრაქტიკა, რომელიც იწვევს ძალების დაქსაქსვას და საპროპაგანდო მუშაობის დონის დაწევას.

2. დაევალოს პარტიულ ორგანიზაციებს მოსპონ ორგანიზაციული კუსტარულობა პარტიული პროპაგანდის საქმეში, დაამყარონ საჭირო ცენტრალიზაცია მის ხელმძღვანელობაში და იმგვარად გარდაჰქმნან პარტიული პროპაგანდის ორგანიზაცია, რომ უზრუნველჰყონ მისი ხარისხის, მისი იდეური დონის ამაღლება.

3. მარქსიზმ - ლენინიზმის პროპაგანდას საფუძვლად დაედოს „საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის მოკლე კურსი".

დიფერენცირებულ იქნას საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლა შემდეგნაირად:

კადრების ძირეული რგოლისათვის, რომელთა შორისაც მოიპოვება არასაკმაოდ მომზადებული ამხანაგების მნიშვნელოვანი ნაწილი, მიზანშეწონილია კურსის შესწავლა შემოკლებული მოცულობით პარტიის ისტორიის სამი ძირითადი ეტაპის მიხედვით: 1) ბრძოლა ბოლშევიკური პარტიის შექმნისათვის (I-IV თავები), 2) ბოლშევიკების პარტია პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბრძოლაში (V-VII თავები), 3) ბოლშევიკების პარტია ხელისუფლების სათავეში (VIII-XII თავები).

საშუალო რგოლისათვის, რომელიც შედარებით უფრო მომზადებული ამხანაგებისაგან შესდგება და რომელიც ჩვენი კადრების ყველაზე უფრო მრავალრიცხოვან რგოლს წარმოადგენს, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი რეკომენდაციას იძლევა შესწავლილ იქნას „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის კურსი" მთლიანად, 12 თავის მიხედვით, რასაც ის შეიცავს.

უმაღლესი რგოლისათვის, ე. ი. ყველაზე უფრო მომზადებული ამხანაგებისათვის, მიზანშეწონილია შესწავლილ იქნას „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი" თვითეული თავის ქვეგანყოფილებათა მიხედვით, მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის სათანადო ნაწარმოებთა პირველწყაროებით შესწავლასთან ერთად.

4. ვინაიდან მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლის მთავარ მეთოდად უნდა გახდეს დამოუკიდებელი შესწავლის მეთოდი, წინადადება მიეცეთ საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებსა და ნაცკომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს შეამცირონ პარტიული განათლების წრეების რაოდენობა.

თვითეულ დიდ საწარმოში, დაწესებულებაში, უმაღლეს სასწავლებელში ამჟამად არსებული მრავალი ათეული, ზოგჯერ კი ასეული წრეების ნაცვლად, საქმისადმი სწორი მიდგომის დროს მიზანშეწონილი აღმოჩნდება ვიქონიოთ დიდ საწარმოში, დიდ დაწესებულებაში დაახლოებით 2-3 წრე ძირეული კადრებისათვის, 2-3 წრე საშუალო დონისათვის და 1 მაღალი ტიპის წრე ყველაზე უფრო განვითარებული და მომზადებული ადამიანებისათვის, ხოლო უმაღლეს სასწავლებლებში რამდენიმე წრე საშუალო და მაღალი ტიპისა.

სოფლის რაიონებში, თუ მოიპოვებიან ისეთი პირნი, რომელთაც სურთ შეისწავლონ წრეებში „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი", და თუ მოიპოვებიან კვალიფიციური პროპაგანდისტები, შეიძლება ვიქონიოთ რამდენიმე წრე სოფლის ინტელიგენციისათვის: პარტიული და საბჭოთა აქტივისათვის, მასწავლებლებისათვის, ვაჭრობა - კოოპერაციის მუშაკებისათვის, კოლმეურნეთა აქტივისათვის და სხვ.

წრეების რაოდენობის შემცირებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ნამდვილად კვალიფიციური პროპაგანდისტებით მათი უზრუნველყოფის ამოცანა.

5. ლიკვიდირებულ იქნას ადმინისტრატიულ-ბიუროკრატიული პრაქტიკა პარტიული განათლების წრეებში კომუნისტების იძულებითი ჩარიცხვისა.

განემარტოს თვითეულ კომუნისტს, რომ წრეებში მონაწილეობა მხოლოდ-მხოლოდ ნებაყოფლობითი საქმეს წარმოადგენს.

6. წრეების მუშაობა აგებულ უნდა იქნას ცოცხალი საუბრისა და ამხანაგური დისკუსიის საფუძველზე. წრეებიდან გადაჭრით განდევნილ უნდა იქნას მავნე სკოლარულ-ადმინისტრატიული მეთოდები, კაზიონურობა და სქემატიზმი, რაც აფერხებს პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების იდეურ აღზრდას. პროპაგანდისტები ამხანაგურ ახსნა-განმარტებას უნდა იძლეოდნენ წრის წევრთათვის საინტერესო საკითხებზე.

საჭიროა ბოლო მოეღოს წრეების მუშაობის ფორმალურ-ბიუროკრატიულ რეგლამენტაციას (პარტიული სწავლების ერთიანი დღე, ორსაათიანი მეცადინეობა მუშაობის დამთავრებისთანავე, უარის თქმა წრის მონაწილეთათვის საინტერესო პრაქტიკულ საკითხთა წამოყენებაზე და სხვ.). თვითეული წრის მეცადინეობის განრიგს უნდა აწესებდნენ მისი მონაწილენი პროპაგანდისტთან ერთად ადგილობრივ პირობათა მიხედვით. თვითეული მეცადინეობა უნდა გრძელდებოდეს მანამდე, სანამ წრის მონაწილეები საჭიროდ დაინახავენ დასმულ საკითხთა საფუძვლიანად შესწავლას.

წრეების მუშაობა ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ მეცადინეობა არ გაჭიანურდეს მეტად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. საჭიროა თავიდან აცილებულ იქნას ახლანდელი წრეების ერთერთი ძირითადი ნაკლი, როდესაც განუსაზღვრელი დრო ეთმობა პირველ თემებს, ხოლო ოქტომბრისშემდგომი პერიოდი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს პარტიის ისტორიაში, შეუსწავლელი რჩება.

პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრეები ისე უნდა ყალიბდებოდეს, რომ უზრუნველყოფილ იქნას მათი მონაწილეების საერთო-საგანმანათლებლო და პოლიტიკური მომზადების ცოტად თუ ბევრად ერთგვარი დონე. მომზადების დონის მიხედვით მიზანშეწონილია გვქონდეს სამი ტიპის წრეები „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" შესწავლის დიფერენცირებული ხასიათის შესაბამისად:

ა) წრეები ჩვენი კადრების ძირეული რგოლისათვის, რომლებიც „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს" სწავლობენ შემოკლებული მოცულობით და თეორიის საკითხების უფრო მისაწვდომი გადაცემით;

ბ) წრეები საშუალო რგოლისათვის, რომლებიც „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს" სწავლობენ სრულად ცალკეული თავების მიხედვით;

გ) წრეები უფრო მომზადებული ამხანაგებისათვის, რომლებიც „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს" სწავლობენ თვითეული თავის ქვეგანყოფილებათა მიხედვით, ამავე დროს პირველწყაროების კითხვით.

7. შემოღებულ იქნას პრაქტიკაში ლექციები, რომლებიც მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის მნიშვნელოვან მეთოდს წარმოადგენენ. კარგად მომზადებული, შინაარსიანი ლექცია სერიოზულ დახმარებას უნდა წარმოადგენდეს იმ ამხანაგებისათვის, რომლებიც დამოუკიდებლად სწავლობენ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს" და მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებებს. საჭიროა მოეწყოს ხოლმე აგრეთვე ლექციები საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებსა და ცალკეულ თეორიულ და პოლიტიკურ საკითხებზე. მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ ლექციის შემდეგ ლექტორი უპასუხებდეს მიცემულ შეკითხვებზე. შემოღებულ იქნას პრაქტიკაში ღია ლექციების ორგანიზაცია დასწრებისათვის მცირე საფასურით.

8. ლიკვიდირებულ იქნას კუსტარულობა და უკონტროლობა პროპაგანდისტებთან მუშაობაში, რაც გამოიხატა პარტკაბინეტებისა და პროპაგანდისტთა სემინარების ხელაღებით დანერგვის გამოდევნებით. დაევალოს პარტორგანიზაციებს ორი თვის ვადაში შეისწავლონ და გადასინჯონ პარტკაბინეტების ქსელი, შეამცირონ მათი რაოდენობა და დასტოვონ პარტკაბინეტები პროპაგანდისტთათვის დახმარების აღმოსაჩენად და კონსულტაციის გასაწევად იმათთვის, ვინც პოლიტიკურ თვითგანათლებას, როგორც წესი, პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან ეწევა, საწარმოებსა და დაწესებულებებში არსებული პარტიული კაბინეტები, რომლებიც უზრუნველყოფილი არ არიან კვალიფიციური კონსულტანტებით, უნდა შემცირებულ იქნან ან გამოყენებულ იქნან სამკითხველოებისა და ბიბლიოთეკების სახით იმათთვის, ვინც თვითგანათლებას ეწევა. დაევალოს პარტორგანიზაციებს შეამცირონ პროპაგანდისტთა სემინარების რაოდენობა და მოაქციონ პროპაგანდისტთა სემინარების მუშაობა საკ. კ. პ. (ბ) დიდ საქალაქო რაიკომებში, საქალაქო კომიტეტებში, საოლქო კომიტეტებსა და სამხარეო კომიტეტებში.

პარტიულმა ორგანიზაციებმა პროპაგანდისტთა სემინარების შექმნის დროს უნდა უზრუნველჰყონ ისინი მარქსისტულად განათლებული და პოლიტიკურად შემოწმებული ხელმძღვანელებით. საკ. კ. პ. (ბ) საქალაქო, საოლქო და სამხარეო კომიტეტებმა მუდმივი კონტროლი უნდა განახორციელონ პროპაგანდისტთა სემინარების მუშაობის შინაარსზე.

პროპაგანდისტთა სემინარების მუშაობა საკ. კ. პ. (ბ) ისტორიაში აგებულ უნდა იქნას საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლის სამი ძირითადი ფორმის შესაბამისად, ამასთან, ისეთი ანგარიშით, რომ პროპაგანდისტთა სემინარები „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" შესწავლის დროს წრეებზე გაცილებით უფრო ადრე მიმდინარეობდეს.

სემინარი არ შეიძლება პროპაგანდისტთა „გაბერვის" ადგილს წარმოადგენდეს. მეცადინეობა პროპაგანდისტთა სემინარებში დაყენებულ უნდა იქნას იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას სემინარის თვითეული მონაწილის შემოქმედებითი მუშაობა, სწარმოებდეს თეორიულ საკითხთა ცოცხალი განხილვა, რათა უზრუნველყოფილ იქნას ამხანაგური დისკუსია თეორიულ და მეთოდურ საკითხებზე.

9. დაევალოს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილებას გააერთიანოს ჩვენი პარტიის ყველაზე უფრო კვალიფიციური პროპაგანდისტები, ლექტორები, მომხსენებლები, კონსულტანტები, რომლებიც უნდა თანამშრომლობდნენ თეორიულ ჟურნალებსა და ცენტრალურ გაზეთებში, გამოდიოდნენ ადგილებზე ლექციებითა და მოხსენებებით და საქმიან დახმარებას უწევდნენ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდაში.

საჭიროდ ჩაითვალოს, რათა შეგროვებულ იქნას და პრესის ფურცლებზე სისტემატურად ქვეყნდებოდეს საუკეთესო პროპაგანდისტთა გამოცდილება, მათი მეცადინეობა, კონსულტაციები, ლექციები.

რეკომენდებულ იქნას საქალაქო, საოლქო და სამხარეო კომიტეტებისა და ნაცკომპარტიების ცენტრალური კომიტეტებისათვის — შემოიღონ პრაქტიკაში პროპაგანდისტებისა და ბეჭდვითი სიტყვის მუშაკების რეგულარული მოწვევა პროპაგანდის ძირითადი საკითხების განსახილველად.

10. ლიკვიდირებულ იქნას ბეჭდვითი სიტყვის, როგორც მარქსიზმ-ლენინიზმის უმნიშვნელოვანესი იარაღისა და პროპაგანდის საკავშირო ტრიბუნის, მნიშვნელობის შეუფასებლობა.

ამაღლებულ იქნას ბეჭდვითი სიტყვის როლი მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის საქმეში. ამ მიზნით დაევალოს „პრავდის", „კრასნაია ზვეზდას", „კომსომოლსკაია პრავდის" და აგრეთვე რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო პარტიული და კომკავშირული გაზეთების რედაქციებს სისტემატურად მოათავსონ გაზეთების ფურცლებზე სტატიები მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიულ საკითხებზე, კონსულტაციები, საუკეთესო პროპაგანდისტების ლექციები, „პასუხები" მკითხველთა „შეკითხვებზე". მოეწყოს „პრავდის", „კრასნაია ზვეზდას", „კომსომოლსკაია პრავდისა" და აგრეთვე რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო პარტიული და კომკავშირული გაზეთების რედაქციების შემადგენლობაში პროპაგანდის განყოფილებანი. ჩაყენებულ იქნან მათს სათავეში თეორიულად მომზადებული ამხანაგები და ჩაბმულ იქნან რედაქციების პროპაგანდის განყოფილებებში სამუშაოდ საუკეთესო პროპაგანდისტები.

საჭიროდ ჩაითვალოს ჟურნალ „ბოლშევიკის" გადახალისება იმგვარად, რომ იგი წარმოადგენდეს პარტიის თეორიულ ორგანოს და სრულიად-საკავშირო კონსულტაციას მარქსიზმ-ლენინიზმის საკითხებზე, ათავსებდეს თავის ფურცლებზე პასუხებს და ახსნა-განმარტებებს იმ თეორიულ და პოლიტიკურ საკითხებზე, რომლებიც აინტერესებს პარტიის წევრებს და უპარტიოებს.

დაევალოს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებას და სახპოლიტგამომცემლობას უზრუნველჰყონ პოპულარული ბროშურების გამოცემა პროპაგანდისტებისა და განსაკუთრებით ძირეული აქტივის დასახმარებლად, რომელიც პარტიის ისტორიას სწავლობს, აგრეთვე შეიმუშაონ პარტიის ისტორიის სახელმძღვანელოების გამოშვების გეგმა.

11. დაგმობილ იქნას, როგორც ველური და ხულიგნობა, უგულვებელმყოფელი დამოკიდებულება საბჭოთა ინტელიგენციისადმი და მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებზე მისი იდეურ-პოლიტიკური აღზრდის ამოცანებისადმი. დაევალოს პარტიულ ორგანიზაციებს აღადგინონ საბჭოთა ინტელიგენციისადმი სწორი ბოლშევიკური დამოკიდებულება და გააჩაღონ იდეურ-პოლიტიკური მუშაობა ინტელიგენციაში, მოსამსახურეთა შორის, სტუდენტობასა და საკოლმეურნეო ინტელიგენციაში. პროპაგანდის დარგში პარტორგანიზაციების უპირველეს და მთავარ ამოცანად ჩაითვალოს პარტიული და არაპარტიული ინტელიგენციის კადრების თეორიული და პოლიტიკური ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია, ამასთან უზრუნველყოფილ იქნას საბჭოთა ინტელიგენციისათვის ყოველგვარი დახმარება ბოლშევიზმის დაუფლებაში, საკ. კ. პ. (ბ) ისტორიისა და მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაწარმოებთა შესწავლაში.

12. აღინიშნოს თეორიული ფრონტის მუშაკთა სერიოზული ჩამორჩენა, რაც გამოიხატება მათი თეორიული სისუსტით, იმით, რომ მათ ეშინიათ გაბედულად დასვან აქტუალური თეორიული საკითხები, ჩაბულბულებისა და ასოკირკიტობის გავრცელებით, მარქსიზმ-ლენინიზმის ცალკეულ დებულებათა ვულგარიზაციითა და შერყვნით, თეორიული აზრის ჩამორჩენით, პარტიის მიერ სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე დაგროვილი უდიდესი პრაქტიკული გამოცდილების თეორიული განზოგადების ნაკლებობით. მოწოდებულ იქნას თეორიული ფრონტის ყველა მუშაკი გადაჭრით და სწრაფად გამოასწოროს თეორიული ფრონტის შეუწყნარებელი ჩამორჩენა, ბოლო მოუღოს იმ თეორიული საკითხების გაბედულად დასმის შიშს, რომელნიც წინ სწევენ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, ბოლო მოუღოს ასოკირკიტობას, ჩაბულბულებას, სქოლასტიკას მარქსისტულ-ლენინური თეორიის ცალკეულ დებულებათა ვულგარიზაციასა და შერყვნას.

13. ლიკვიდირებულ იქნას იდეოლოგიური მეურნეობის უპატრონოდ მიტოვება, რამაც გამოხატულება ჰპოვა, კერძოდ, მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის არადამაკმაყოფილებელ მუშაობაში, რომელმაც დაუშვა მთელი რიგი დამახინჯებანი და არასიზუსტენი მარქსისა და ენგელსის თხზულებათა რუსულ ენაზე გადათარგმნისას, აგრეთვე მავნებლური ხასიათის უაღრესად უხეში პოლიტიკური შეცდომები ლენინის თხზულებათა ზოგიერთი ტომის დამატებებსა, შენიშვნებსა და კომენტარიებში.

14. დაევალოს მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტს უმოკლეს ვადაში გამოასწოროს მარქს-ენგელსის თხზულებათა რუსულ ენაზე გადათარგმნისას დაშვებული დამახინჯებანი, აგრეთვე უაღრესად უხეში პოლიტიკური შეცდომები, რომლებიც მოიპოვება ვ. ი. ლენინის თხზულებათა, მაგალითად, XIII ტომის დამატებებსა და შენიშვნებში.

დაევალოს მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტს დააჩქაროს მარქს-ენგელსისა და ვ. ი. ლენინის თხზულებათა ხელახლად გამოცემა.

15. აღინიშნოს ჩვენი თეორიული ჟურნალების მოწყვეტა ჩვენი პარტიის ცხოვრებისა და ბრძოლის საარსებო საკითხებისაგან, მათი კარჩაკეტილობა და აკადემიზმის ტენდენციები.

დაევალოს თეორიული ჟურნალების რედაქციებს გარდაჰქმნან თავიანთი მუშაობა, უზრუნველჰყონ თავის ფურცლებზე აქტუალური თეორიული საკითხების დასმა, სოციალისტური მშენებლობის გამოცდილების განზოგადება, ჩვენი კადრების თეორიულ მოთხოვნილებათა მომსახურება, ახალი თეორიული პრობლემების დამუშავება და შემოქმედებითი დისკუსია თეორიის საკითხებზე.

16. ხელმძღვანელი პარტიული კადრების პოლიტიკური გადამზადების იმ სისტემის დამატებად, რომელიც საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვალ-მარტის პლენუმმა დააწესა, გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი პარტიის კვალიფიციური პროპაგანდისტული კადრების გადამზადებისა და მომზადების საქმეში:

ა) მოეწყოს პროპაგანდისტთა და გაზეთის მუშაკთა გადასამზადებელი წლიური კურსები შემდეგ ცენტრებში: 1) მოსკოვი, 2) ლენინგრადი, 3) კიევი, 4) მინსკი, 5) როსტოვი, 6) თბილისი, 7) ბაქო, 8) ტაშკენტი, 9) ალმა-ატა, 10) ნოვოსიბირსკი. ამ ცენტრებში მოწყობილი პროპაგანდისტთა ერთწლიანი გადასამზადებელი კურსები უნდა ემსახურებოდნენ არა მარტო ცალკეულ ოლქს, მხარეს, არამედ აგრეთვე მოსაზღვრე ოლქებს, მხარეებს, რესპუბლიკებს. პროპაგანდისტთა წლიური კურსების პროგრამა შედგენილ უნდა იქნას „ლენინური კურსების" პროგრამის შესაბამისად, ხოლო მეცადინეობა აგებულ უნდა იქნას იმგვარად, რომ განავითაროს პროპაგანდისტული მუშაობის ჩვევები, მარქსისა და ენგელსის, ლენინისა და სტალინის ნაწარმოებთა დამოუკიდებლად და ღრმად შესწავლის ჩვევები.

პროპაგანდისტთა გადასამზადებელი ყველა წლიური კურსების მსმენელთა საერთო კონტინგენტი დაწესდეს 1500-2000 კაცის რაოდენობით, იმგვარად, რომ ამ შემადგენლობაში დაახლოებით ნახევარს შეადგენდნენ გაზეთის მუშაკები.

ბ) მოეწყოს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან მარქსიზმ-ლენინიზმის უმაღლესი სკოლა სამწლიანი კურსით პარტიის მაღალკვალიფიციური თეორიული კადრების მოსამზადებლად.

17. მარქსისტულ-ლენინური თეორიის სწავლება უმაღლეს სასწავლებლებში აგებულ იქნას „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" ღრმად შესწავლის საფუძველზე. ამასთან დაკავშირებით:

ა) ლენინიზმის, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის დამოუკიდებელი კურსების ნაცვლად, უმაღლეს სასწავლებლებში შემოღებულ იქნას ერთიანი კურსი — „მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლები", ამასთან სასწავლო გეგმაში დატოვებულ იქნას საათების საერთო რაოდენობა, რომელიც წინათ დათმობილი ჰქონდა სოციალურ-ეკონომიურ დისციპლინებს. მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძვლების სწავლება უმაღლეს სასწავლებლებში უნდა იწყებოდეს „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" შესწავლით, მარქსიზმ-ლენინიზმის პირველწყაროების შესწავლასთან ერთად. პოლიტიკური ეკონომიის სწავლება უნდა ხდებოდეს „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის" შესწავლის შემდეგ.

ბ) დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის, ლენინიზმისა და საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის ამჟამად არსებული ცალკე კათედრების ნაცვლად უმაღლეს სასწავლებლებში შეიქმნას მარქსიზმ-ლენინიზმის ერთიანი კათედრა.

გ) უნივერსიტეტებსა და ინსტიტუტებში, სადაც არის ფილოსოფიური, საისტორიო, სალიტერატურო ფაკულტეტები, დატოვებულ იქნას ამ ფაკულტეტებზე დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის კურსის სწავლება.

დ) დაევალოს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებას და უმაღლესი სკოლის საქმეთა სრულიად-საკავშირო კომიტეტს შეარჩიონ 1939-40 სასწავლო წლის დამდეგისათვის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრების ხელმძღვანელები და წარუდგინონ დასამტკიცებლად საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს. წინადადება მიეცეს ნაცკომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, საკ. კ. პ. (ბ) სამხარეო კომიტეტებს, საოლქო კომიტეტებსა და საქალაქო კომიტეტებს შეარჩიონ თეორიულად მომზადებული და პოლიტიკურად შემოწმებული მასწავლებლები მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებისა.

ე) მოეწყოს მარქსიზმ-ლენინიზმის უმაღლეს სკოლასთან ექვსთვიანი გადასამზადებელი კურსები მარქსიზმ-ლენინიზმის იმ მასწავლებელთათვის, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში ასწავლიან.

IV

მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის პარტიული ხელმძღვანელობის ძირიანად გაუმჯობესების მიზნით, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენს:

18. გაერთიანებულ იქნან საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, ნაცკომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, საკ. კ. პ. (ბ) სამხარეო კომიტეტებისა და საოლქო კომიტეტების პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებანი და ბეჭდვითი სიტყვისა და გამომცემლობათა განყოფილებანი, — შეიქმნას პროპაგანდისა და აგიტაციის ერთიანი განყოფილებანი.

19. თავი მოეყაროს პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებებში მთელ მუშაობას მარქსიზმ-ლენინიზმის ბეჭდვითი და სიტყვიერი პროპაგანდისა და მასობრივი პოლიტიკური აგიტაციის დარგში (პარტიული პრესა; საპროპაგანდო და საავიტაციო ლიტერატურის გამოცემა; მარქსიზმ-ლენინიზმის ბეჭდვითი და სიტყვიერი პროპაგანდის ორგანიზაცია; საპროპაგანდო მუშაობის იდეური შინაარსის კონტროლი; პროპაგანდისტთა კადრების შერჩევა და განაწილება; პარტიული კადრების პოლიტიკური გადამზადება და მომზადება; მასობრივი პოლიტიკური აგიტაციის ორგანიზაცია).

პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა მუშაობას საფუძვლად დაედოს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ამ გადაწყვეტილების პრაქტიკული გატარება ცხოვრებაში.

20. მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის ხარისხის ასამაღლებლად საჭიროდ ჩაითვალოს, რათა პროპაგანდის საქმეში პარტორგანიზაციები ამიერიდან, როგორც წესი, ეყრდნობოდნენ ყოველგვარი სხვა სამუშაოსაგან განთავისუფლებული ამხანაგების კადრებს, რომელთაც შეეძლებათ მთლიანად მოახმარონ თავისი ძალღონე ამ სამუშაოს და განუწყვეტლივ აამაღლონ თავისი თეორიული და საპროპაგანდო კვალიფიკაცია.

ამასთან დაკავშირებით დაევალოთ საკ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტებსა და სამხარეო კომიტეტებს შეარჩიონ საუკეთესო პროპაგანდისტები მუდმივი საპროპაგანდო მუშაობისათვის.

21. პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა მუშაკები პარტორგანოების მიერ შერჩეულ უნდა იქნან ყველაზე უფრო კვალიფიციური პროპაგანდისტ-პროფესიონალებისა და პარტიული ლიტერატორების რიცხვიდან.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, ნაცკომპარტიების ცენტრალური კომიტეტების, საკ. კ. პ. (ბ) საოლქო, სამხარეო და საქალაქო კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა შემადგენლობაში უნდა მოეწყოს ლექტორთა ჯგუფები.

22. იმასთან დაკავშირებით, რომ საწარმოებსა და დაწესებულებებში წრეების, აგრეთვე პარტიული კაბინეტების რაოდენობის შემცირება გაანთავისუფლებს პროპაგანდისტ-მუშაკთა ნაწილს ქალაქებში, წინადადება მიეცეთ საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებსა და ნაცკომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს ამ მუშაკთა რიცხვიდან ყველაზე უფრო მომზადებულნი გადაიყვანონ საპროპაგანდო მუშაობის გასაძლიერებლად სასოფლო რაიონებში.

23. პარტიის საქალაქო და სარაიონო კომიტეტებთან არსებული კულტპროპები გადაკეთდეს პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებებად. საჭიროდ ჩაითვალოს პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა შექმნა აგრეთვე იმ რაიკომებშიც, სადაც ამჟამად კულტპროპები არ არის. დაწესდეს, რომ პარტიის რაიკომებში პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა შექმნას ნებას რთავს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი თვითეული რაიონისათვის ცალკე კვალიფიციურ მუშაკთა შერჩევის მიხედვით, საოლქო კომიტეტების, სამხარეო კომიტეტების, ნაცკომპარტიების ცენტრალური კომიტეტების წარდგინებით.

შეტანილ იქნას პარტიის ქალაქკომების, რაიკომების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა შემადგენლობაში საქალაქო და სარაიონო პარტიული კაბინეტები იმ ანგარიშით, რომ პარტკაბინეტების გამგეები იმავე დროს იყვნენ პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებების გამგეთა მოადგილეები.

24. დაწესდეს, რომ პარტიის საოლქო კომიტეტების, სამხარეო კომიტეტების, ნაცკომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, საოკრუგო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეებს ამტკიცებს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი, ხოლო ამ კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა ყველა დანარჩენ პასუხისმგებელ მუშაკებს ამტკიცებენ საოლქო კომიტეტების, სამხარეო კომიტეტებისა და ნაცკომპარტიების ცენტრალური კომიტეტების ბიუროები.

დაევალოთ საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებს, ნაცკომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს ორი თვის ვადაში მთლიანად შეარჩიონ და დაამტკიცონ პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა მუშაკები.

25. იმის გამო, რომ მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის მუშაობა მძი-

(დასასრული იხ. მე-3 გვ.)

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების დასასრული

ტრიდ არის დაკავშირებული მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდასთან, საჭიროდ ჩაითვალოს მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის გადაცემა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგებლობაში.

26. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ავალებს ყველა პარტიულ კომიტეტს სერიოზულად მოჰკიდონ ხელი მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდას — ბოლშევიკური პარტიის სასიცოცხლო საქმეს. პარტიის კომიტეტები ვალდებული არიან ხელმძღვანელობა გაუწიონ პროპაგანდის საქმეს არსებითად, ღრმად ჩასწვდნენ მის შინაარსს. საოლქო კომიტეტებმა, სამხარეო კომიტეტებმა და ნაცკომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა თავიანთ ხელში უნდა აიღონ ხელმძღვანელობა მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის ორგანიზაციის მთელი საქმის გარდაქმნისა ამ დადგენილების შესაბამისად.

მიუთითებს რა ყველა პარტიულ ორგანიზაციას, რომ ცენტრალური კომიტეტის ამ გადაწყვეტილების სულისკვეთებით პარტიული პროპაგანდის მთელი საქმის გარდაქმნა პარტიული ორგანოებისაგან მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას და მზრუნველობას, ცენტრალური კომიტეტი აფრთხილებს პარტორგანიზაციებს პროპაგანდის გარდაქმნისადმი მექანიკურ-ფორმალური მიდგომის საფრთხისაგან, საპროპაგანდო მუშაობის მთელი წინანდელი გამოცდილების ხელაღებით განქიქების ყოველივე ცდისაგან.

პარტიული პროპაგანდის საქმის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით დაწესდეს, რომ თვითეულ საქალაქო კომიტეტსა, საოლქო კომიტეტსა, სამხარეო კომიტეტსა და ნაცკომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში უნდა იყოს სპეციალური მდივანი, რომელიც მხოლოდდამხოლოდ პროპაგანდისა და აგიტაციის ორგანიზაციისა და შინაარსის საკითხებზე იმუშავებს.

○

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს რაიკომებს, საქალაქო კომიტეტებს, საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებსა და ნაცკომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს განუმარტონ ეს გადაწყვეტილება პარტიულ აქტივსა და პარტიის ყველა წევრს.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ „საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის“ გამოსვლამ დასაბამი უნდა მისცეს ჩვენი კადრების — პარტიული, კომკავშირული, საბჭოთა, პროფკავშირული, სამეურნეო, კულტურული მუშაკების, მთელი საბჭოთა ინტელიგენციის კადრების მობრუნებას თავისი თეორიული ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისაკენ.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ დასაბამს აძლევს ახალ მძლავრ იდეურ-პოლიტიკურ აღმავლობას ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში.

დაეუფლებიან რა მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას, რომელიც გვაიარაღებს საზოგადოებრივი განვითარების კანონების ცოდნით, ჩვენი კადრები ნამდვილად უძლეველნი გახდებიან და ამ თეორიის დროშის ქვეშ, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით კიდევ უფრო წარმატებით წაიყვანენ მთელ საბჭოთა ხალხს კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

1938 წლის 14 ნოემბერი.

უცხოეთის მუშათა დელეგაციების შეხვედრა ამხანაგ მ. ი. კალინინთან

14 ნოემბერს დღისით კავშირთა სახლში შესდგა უცხოეთის მუშათა დელეგაციების შეხვედრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან ამხ. მ. ი. კალინინთან. შუადღისათვის ოქტომბრის დარბაზში შეიკრიბა ყველა დელეგაცია — ესპანეთის, საფრანგეთის, ინგლისის, ბელგიის, შვეციის, ნორვეგიისა და სამხრეთ-აფრიკის კავშირისა.

მხურვალე და ხანგრძლივი ოვაციით შეხვდნენ დარბაზში ამხ. მ. ი. კალინინის გამოჩენას. ამხ. მ. ი. კალინინის მისასალმებელი სიტყვის საპასუხოდ უცხოეთის მუშათა დელეგაციებისადმი კვლავ იფეთქა ოვაციებმა.

თავის საუბარში საზღვარგარეთელ სტუმრებთან ამხ. მ. ი. კალინინი დაწვრილებით შეჩერდა მთელ რიგ აქტუალურ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობასთან.

ჩერდება რა ჩეხოსლოვაკიაში, ავსტრიაში, ესპანეთსა და ჩინეთში მომხდარ ამბებზე, ამხ. მ. ი. კალინინი აღნიშნავს, რომ ხალხები გაკვირვებული არიან — რით აიხსნება, რომ ინგლისი უთმობს აგრესორებს, უთანხმდება მათ ინგლისის პირდაპირი ნაციონალური ინტერესების წინააღმდეგ.

ეს კი იმით აიხსნება,—ამბობს ამხ. მ. ი. კალინინი, რომ ინგლისის კაპიტალისტთა გაბატონებული ხროვა ინგლისის ნაციონალურ ინტერესებს თავის კლასობრივ ინტერესებს სწირავს.

ამის საილუსტრაციოდ ამხ. მ. ი. კალინინს მოჰყავს, კერძოდ, ინგლისის პოზიციის მაგალითი ჩინეთში იაპონიის აგრესიის წინაშე. ცნობილია, რომ იაპონიის აგრესია პირდაპირ ემუქრება ინგლისის ინტერესებს. მაგრამ ინგლისის კაპიტალისტთა მმართველი ჯგუფი ასე მსჯელობს: თუ იაპონიამ დაამარცხა ჩინეთის ხალხი, მაშინ ინგლისისა და იაპონიის კაპიტალისტები შესძლებენ ერთმანეთთან შეთანხმებას ჩინეთის გაძარცვის შესახებ.

შემდეგ ამხ. მ. ი. კალინინმა გააცნო უცხოეთის მუშათა დელეგაციებს ხასანის ტბის რაიონში მომხდარი ამბები. ამხ. მ. ი. კალინინმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის ხალხებს არ ეშინიათ იაპონელთა სამხედრო ხროვისა და სხვა რომელიმე აგრესორის თავდასხმებისა, რომ ისინი მზად არიან საკადრისი პასუხი გასცენ მათ, კიდევ უფრო მკაცრად დაარტყან მათ, ვიდრე ხასანის ტბის რაიონში.

— მე ვთხოვ ესპანეთის დელეგაციას, — ამთავრებს თავის სიტყვას მხურვალე ტაშის გრიალში ამხ. მ. ი. კალინინი, — გადასცეთ ჩემი გულწრფელი სალამი გმირ მებრძოლებსა და მთელი ესპანეთის ხალხს.

შემდეგ სიტყვით გამოდიდნენ ესპანეთის დელეგაციის თავმჯდომარე რეჟისორი ფილიპე პრეტელი, ინგლისის დელეგაციიდან ვილიამ რასტი, საფრანგეთის დელეგაციიდან ფერნანდ გამბიე, ბელგიის დელეგაციიდან ეჟენ დაქსელე, სკანდინავიის ქვეყნების დელეგაციიდან ნილს ბერგლეფი და რესპუბლიკური ესპანეთის მებრძოლთაგან ლევანტის ფრონტის დივიზიის კომისარი ისიდორო ერნანდოსი. ყველა ისინი თავიანთი დელეგაციების სახელით მადლობას უძღვნიდნენ ამხ. მ. ი. კალინინს და მისი სახით მთელს საბჭოთა ხალხს გულღია სტუმართმოყვარეობისათვის და სიტყვა მისცეს, რომ დასავლეთ ევროპის მუშათა კლასი დაუღალავად განამტკიცებს თავის ერთიანობას, დაუღალავად იბრძოლებს ფაშიზმის წინააღმდეგ. ყველა სიტყვით გამოსული ერთსულოვნად გამოსთქვამდა თავის აღტაცებას მუშურ-გლეხური წითელი არმიის ძლიერებით, რომლის გაცნობის შესაძლებლობა მათ ჰქონდათ პარადის დროს წითელ მოედანზე 7 ნოემბერს.

ყველა სიტყვით გამოსული ორატორის მისალმებებს თან სდევდა მხურვალე ოვაცია საბჭოთა ხალხისა და მშრომელთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

(საქდესი).

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს — ამხ. კ. ჩარკვიანს

ჩვენ, საქართველოს, უკრაინისა და სომხეთის კოლმეურნეები, შევიკრიბენით რა ქალაქ გორში — დიდი **სტალინის** სამშობლოში, გიძღვნით თქვენ ბოლშევიკურ სალამს. ჩვენი შეხვედრა, რომელიც შესდგა საქართველოს, უკრაინისა და სომხეთის კოლმეურნეთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებასთან დაკავშირებით, ხალხთა ურღვევი სტალინური მეგობრობის გამოხატულებას წარმოადგენს.

უკრაინის სს რესპუბლიკის გენიჩესკის რაიონის **სტალინის** სახელობის კოლმეურნეობასა, მახარაძის რაიონის კოლმეურნეობა „შრომასა“ და ბერიას სახელობის კოლმეურნეობასა და სომხეთის სს რესპუბლიკის ჰოქტემბერიანის კოლმეურნეობა „მესამე ინტერნაციონალს“ შორის გაშლილმა შეჯიბრებამ უკვე დიდი შედეგები მოგვცა უხვი მოსავლისათვის, კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცებისათვის, სასოფლო - სამეურნეო არტელის სტალინური წესდების განხორციელებისათვის ბრძოლის საქმეში.

პირველი შედეგების შეჯამებისა და სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებათა შესრულების შემოწმების შემდეგ ჩვენ კიდევ უფრო ფართოდ გავშლით შეჯიბრებას, რათა თავიდან ავიცილოთ ნაკლოვანებანი და ახალ წარმატებებს მივაღწიოთ.

ყველა ჩვენი კოლმეურნეების, პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების სახელით მტკიცე სიტყვას ვიძლევით, რომ ცხოვრებაში გავატარებთ პარტიისა და მთავრობის მიერ სოციალისტური სასოფლო მეურნეობის დარგში დასახულ ყველა ღონისძიებას, კიდევ უფრო განვამტკიცებთ ხალხთა დიად მეგობრობას.

გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს სსრ კავშირის თავისუფალ ხალხთა მამას, მშრომელთა ბედნიერი და სასიხარულო ცხოვრების შემქმნელს, ხალხთა ურღვევი მეგობრობის შემომქმედს დიდ სტალინს!

საბჭოთა უკრაინის მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები:

ფ. კლიმენკო, ლ. პოლამარჩუკი, ი. პრიბიში, მ. კიბა, ა. ფიშჩენკო, გ. გლუსკინი, ფ. სტრიუკი, გ. კოვალიოვა, გ. ზამოგილნი, დ. ზადოიანჩუკი, ვ. ტოპალერი, პ. გრიშჩენკო, პ. ნენადა, ა. ვაგინა, კ. ბულანა, ე. კუჩეროვა, ს. ზელენსკი, ს. კამინსკაია, გ. ილიუშინი, გ. გუსაკი, ი. ლობოდოვსკი, ლ. სერგეევი, ს. ლისტოპადოვი, კ. კუზნერენკო.

საქართველოს სსრ გორის რაიონის კოლმეურნეები:

ს. აბალაკი, ს. გიგაური, ნ. აბალაკი, ნ. რუსიტაშვილი, ლ. გელიტაშვილი, პ. რუსიტაშვილი, ა. თომაშვილი, ი. ჯანეზაშვილი, კ. წერელაშვილი, ი. აბალაკი, კ. მერებაშვილი, დ. ქველიძე, ი. ბაშინჯაყელი, ბ. ქანესაშვილი, მ. მერებაშვილი.

საბჭოთა სომხეთის კოლმეურნეები:

ი. ავჩიანი, ა. მანუკიანი, ა. კოსტანიანი, რ. დანელიანი, გ. მარტიროსიანი, ს. ლაჩინიანი, ს. ვასილიანი, მ. სარდარიანი, მ. აზოიანი, ნ. ნერსესიანი, ს. ნალბანდიანი, ა. ბალდასარიანი. (საქდესი).

უკრაინის მშრომელთა დელეგაცია თბილისს გაემგზავრა

ნატანები, 15 ნოემბერი (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.). უკრაინელი სტუმრების ყოფნამ მახარაძის რაიონში კოლმეურნეთა უდიდესი საწარმოო ენტუზიაზმი გამოიწვია.

როდესაც მოძმე უკრაინის მშრომელთა დელეგატები პლანტაციებს ათვალიერებდნენ სოფ. შრომის კოლმეურნეობაში, მათთან მივიდა სოფ. შემოქმედის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. წიქარიძე და კოლმეურნეთა სახელით მიესალმა რა ძვირფას სტუმრებს, განუცხადა, რომ შემოქმედელი კოლმეურნეები ებმებიან მოძმე რესპუბლიკების კოლმეურნეებს შორის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში და იწვევენ კოლმეურნეობა „ნოვი აზოვის“ კოლმეურნეებს და ეპატიჟებიან სტუმრებს თავიანთ კოლმეურნეობაში.

კოლმეურნეობა „ნოვი აზოვის“ თავმჯდომარემ ამხ. მარფა კიბამ სიამოვნებით მიიღო გამოწვევა და უკრაინულ გაზეთ „კომუნისტის“ და ქართულ გაზეთ „კომუნისტის“ წარმომადგენლების, უკრაინის სსრ დნეპროპეტროვსკის ოლქის, გენიჩესკის და მახარაძის პარტრაიკომის მდივნების ამხ. პრიბიშის, თვალჭრელიძის და გელაშვილის თანხლებით ესტუმრა შემოქმედის კოლმეურნეობას.

კოლმეურნეთა აქტივის კრებაზე წაკითხულ იქნა შემოქმედის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მიმართვა „ნოვი აზოვის“ კოლმეურნეებისადმი. მიმართვაში შემოქმედელი კოლმეურნეები კისრულობენ მთელ რიგ ვალდებულებებს მოსავლიანობის გადიდების საქმეში. შემოქმედელი კოლმეურნეები სთხოვენ უკრაინის გაზეთ „კომუნისტს“ და საქართველოს გაზეთ „კომუნისტს“ — ორი კოლმეურნეობის ურთიერთდაახლოვების მიზნით მოაწყონ სოცშეჯიბრებაში ჩაბმულ კოლმეურნეობათა მიღწევებისა და ისტორიის სისტემატური გაშუქება.

კრებაზე კოლმეურნეობა „ნოვი აზოვის“ თავმჯდომარემ მარფა კიბამ შემოქმედელებს გააცნო თავისი კოლმეურნეობის მიღწევები.

ამის შემდეგ სტუმრები მიიპატიჟეს ვახშამზე.

დღეს საღამოს უკრაინის მშრომელთა დელეგაცია თბილისს გაემგზავრა.

ბ. გიორგაძე
შ. ფურცხვანიძე

პრ. რატიანი

გენიოსი მეოცნებე

(რობერტ ოუენის გარდაცვალების 80 წლისთავის გამო)

როგორც ლენინი ამბობდა, მარქსიზმი — მუშათა კლასის განმანთავისუფლებელი მოძრაობის ეს დიადი თეორია, არის კანონიერი მემკვიდრე ყველაზე უკეთესისა, რაც კი მანამდე შექმნა მთელმა მოწინავე კაცობრიობამ; მარქსიზმი ერთბაშად, არაფრისაგან როდი წარმოშობილა; იგი წარმოიშვა ყველა ქვეყნის რევოლუციური გამოცდილებისა და რევოლუციური აზრების მთელი ერთობლიობისაგან.

„ჩვენ, გერმანელი სოციალისტები, — ამბობდა ენგელსი, ვამაყობთ იმით, რომ ჩვენს წარმოშობას ვუკავშირებთ არა მარტო სენ-სიმონს, ფურიესა და ოუენს, არამედ აგრეთვე კანტს, ფიხტესა და ჰეგელსაც“.

მუშათა კლასის გენიალური ბელადი — ლენინი, მიუთითებდა რა უტოპიურ სოციალიზმზე, როგორც მარქსიზმის ერთერთ წყაროზე, თავის წერილში „მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი“, ამბობდა:

„როდესაც დამხობილ იქნა ბატონყმობა და დღის სინათლეზე „თავისუფალი“ კაპიტალისტური საზოგადოება გამოვიდა, მაშინვე გამოაშკარავდა, რომ ეს თავისუფლება მშრომელთა ჩაგვრისა და ექსპლოატაციის ახალ სისტემას მოასწავებდა. დაუყოვნებლივ წარმოიშვნენ სხვადასხვა სოციალისტური მოძღვრებანი, როგორც ამ ჩაგვრის უკუფენა და პროტესტი მის წინააღმდეგ. მაგრამ პირანდელი სოციალიზმი უტოპიური სოციალიზმი იყო“.

უტოპიური სოციალიზმის ერთერთი უდიდესი და გამოჩენილი წარმომადგენელი იყო ინგლისელი მეფაბრიკე რობერტ ოუენი, „კაცი, რომელიც დიდბუნებოვანი და ბავშვივით შეურყვნელი ხასიათით იყო დაჯილდოვებული და ამავე დროს ადამიანების შეუდარებელი ხელმძღვანელი იყო“ (ენგელსი).

რობერტ ოუენი (დაიბადა 1771 წ., გარდაიცვალა 1858 წ.) წვრილბურჟუაზიული ოჯახიდან იყო და მას პატარაობიდანვე მოუხდა თვითონვე ეძებნა არსებობის საშუალებანი. მან ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ გამოიჩინა თავი, როგორც შესანიშნავმა ორგანიზატორმა და საკუთარი ენერგიული შრომით მიაღწია გავლენიან მდგომარეობას საზოგადოებაში.

1800 წელს რობერტ ოუენი გახდა დირექტორი და თანამფლობელი ნიუ-ლენარკის დიდი ბამბის სართავი ფაბრიკისა შოტლანდიაში. აქედან დაიწყო მან თავისი ფილანტროპიული მოღვაწეობა, რის შედეგადაც უდიდესი სახელი მოიხვეჭა და მთელს ევროპაში ყველაზე პოპულარული ადამიანი გახდა.



როგორც ენგელსი მოგვითხრობს, ნიუ-ლენარკი, რომლის მოსახლეობა თავდაპირველად მეტნაწილად შერეული და გარყვნილი ელემენტებისაგან შესდგებოდა, ოუენმა შესანიშნავ სანიმუშო ახალშენად აქცია. ნიუ-ლენარკისათვის სრულიად უცნობი გახდა კაპიტალისტური საზოგადოების ისეთი დამახასიათებელი თვისებანი, როგორიცაა სისხლის სამართლის დანაშაულობანი, ლოთობა, გარყვნილება, ღარიბთა თავშესაფარისა და ქველმოქმედებათა საჭიროება და სხვ.

რით მიაღწია ყოველივე ამას ოუენმა? იმით, რომ მან თავის მუშებს შეუქმნა ცხოვრების ადამიანური პირობები და უზრუნველჰყო ბავშვებისათვის ნორმალური აღზრდა. ოუენმა პირველმა მოიგონა და შემოიღო აქ საბავშვო ბაღები, სადაც მცირეწლოვანი ბავშვები მოდიოდნენ და ასე კარგად ერთობოდნენ, რომ ძნელი ხდებოდა მათი შინ წაყვანა. ნიუ-ლენარკში მუშაობა ათნახევარ საათს გრძელდებოდა მაშინ, როდესაც სხვა ფაბრიკებში მუშები 13-14 საათს მუშაობდნენ.

მაგრამ ოუენს ეს ფილანტროპიული მოღვაწეობა შემდეგში აღარ აკმაყოფილებს და მალე იგი კომუნისტური იდეების აქტიური მქადაგებელი ხდება.

1820-იან წლებში რობერტ ოუენი გამოვიდა მთელი რიგი ბრწყინვალე სტატიებითა და მოხსენებებით, რომლებშიაც მკაცრად აკრიტიკებდა მთელ კაპიტალისტურ წყობილებას და იძლეოდა ამ საზოგადოების გარდაქმნის გეგმას.

ოუენის საზოგადოებრივ იდეალს შეადგენდა შექმნა პატარ-პატარა კომუნისტური საზოგადოებანი (ვის მიერ მოწყობილი სანიმუშო Home-kolonie-ბის მსგავსად). ესაა მიწათმოქმედი ასოციაციები, სადაც სამრეწველო შრომა დამატებით შრომადაა აღიარებული. ოუენის მიხედვით ამ კომუნისტურ საზოგადოებათა წევრები ეწევიან განსაზღვრულ შრომას თავიანთი უნარისა და საერთო ინტერესების შესაფერისად და საერთო პროდუქტებიდან იღებენ ნაწილს თავიანთი მოთხოვნილების მიხედვით.

მაგრამ რობერტ ოუენს, ისევე როგორც მთელს უტოპიურ სოციალიზმს, არ შეეძლო ასეთი საზოგადოების დამყარების ნამდვილი გზა გამოენახა. მას არ შეეძლო, ლენინის სიტყვებით, რომ ვთქვათ არც კაპიტალიზმის დროს არსებული დაქირავებული შრომის რაობის ახსნა, არც კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების კანონების აღმოჩენა და არც იმ საზოგადოებრივი ძალის (პროლეტარიატის) გამოძებნა, რომელსაც შესწევს უნარი გახდეს ახალი საზოგადოების შემოქმედი. კომუნისტური საზოგადოების დამყარება რობერტ ოუენს ისევე, როგორც დანარჩენ უტოპისტებს, შესაძლებლად მიაჩნდა ძალადატანებითი გადატრიალების გარეშე, იგი იმედოვნებდა, რომ თავისი მიზნის განხორციელებას შესძლებდა უმაღლესი კლასების კეთილ სურვილებზე დაყრდნობით, იმის ახსნა-განმარტებისა და პროპაგანდის გზით, რომ მხოლოდ სოციალისტური წესწყობილება შეესაბამება „ადამიანის ბუნებას“.

აი ამიტომ იყო, რომ რობერტ ოუენი წინააღმდეგი იყო რევოლუციური მოძრაობისა და მთელ თავის იმედებს ამყარებდა კომუნების მაგალითის ძალაზე, იმ კომუნებისა, რომელთა მოწყობასაც მან თავისი სიცოცხლის მნიშვნელოვანი ნაწილი და მთელი თავისი ქონება მოანდომა.

ოუენი — ეს უდიდესი ენერგიის ადამიანი, არაფერს არ ზოგავდა იმისათვის, რომ დაემტკიცებინა თავისი კომუნისტური ახალშენების უპირატესობა და ყოველმხრივ, თვით დეტალებამდე ამუშავებდა მომავალი საზოგადოების გეგმას; „მის საბოლოოდ შედგენილს მომავლის გეგმაში დეტალების ტექნიკური დამუშავება ისეთი საქმის ცოდნითაა გატარებული, ამასთანავე თანდართულია ისეთი საგარაუდო გეგმები, ნახაზები და ნახატები, რომ საზოგადოებრივი რეფორმის ოუენისეულ მეთოდს თუ ერთხელ დავეთანხმეთ, მისი დეტალურად მოწყობის შესახებ ბევრს ვერაფერს ვიტყვით თვით სპეციალისტის თვალსაზრისითაც“ (ენგელსი).

რობერტ ოუენი, რომელიც მკაცრად დაესხა თავს კაპიტალისტური წყობილების საფუძვლებს — კერძო საკუთრებას და სარწმუნოებას, განდევნილი იქნა ოფიციალური საზოგადოებიდან. ამასთან იგი მთლად გაღატაკდა იმ ექსპერიმენტების გამო, რომლებიც მან ამერიკაში მოაწყო.

ამის შემდეგ ოუენმა უშუალოდ მუშათა კლასს მიმართა და სამი ათეული წლის განმავლობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ინგლისის მუშათა პროფესიულ და კოოპერატიულ მოძრაობაში. „ყოველი საზოგადოებრივი მოძრაობა,—ამბობს ენგელსი — ყოველი რეალური წარმატება. რომელიც ინგლისში განხორციელდა მუშების ინტერესების კარნახით, ოუენის სახელთანაა დაკავშირებული“.

ოუენი ფიქრობდა, რომ საზოგადოებაში არსებულ ბოროტებათა მთავარი მიზეზია არა წარმოების წესში, არამედ გაცვლის სფეროში. ამიტომ მისი აზრით აუცილებელი იყო გაცვლის სფეროს მოწესრიგება. ამ მიზნით მან მოაწყო მუშათა ბაზრები, სადაც შრომის პროდუქტები ქაღალდის ფულის საშუალებით იცვლებოდა, ხოლო ამ ფულის ერთეულს შრომის საათი შეადგენდა. ამ ბაზრებს, რომლებიც მოწოდებული იყვნენ მოესპოთ შუამავალი მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის და ამით მოეწესრიგებინათ გაცვლის სფერო, აუცილებელი მარცხი მოელოდათ, რადგან კაპიტალისტური წყობილების დროს, როდესაც წარმოება მოუწესრიგებელი, ანარქიულია, გაცვლის სფეროში რაიმე წესრიგის დამყარება შეუძლებელია.

მუშათა ბაზრების ორგანიზაცია ნაწილი იყო ოუენის იმ ფართო გეგმისა, რომელიც ითვალისწინებდა მთელი საზოგადოების გარდაქმნას კოოპერაციისა და ტრედ-იუნიონიზმზე (პროფკავშირები) დაყრდნობით. ცხადია, ოუენს არ ესმოდა ის დებულება, რომ კოოპერაცია მხოლოდ მას შემდეგაა გზა სოციალიზმისაკენ, რაც პროლეტარიატი თავის ხელში ჩაიგდებს პოლიტიკურ ძალაუფლებას.

ყველა თავისი ნაკლოვანებებისა და შეცდომების მიუხედავად უტოპიური სოციალიზმის მოძღვრებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მუშათა მოძრაობის ისტორიაში. დიდ უტოპისტ-სოციალისტთა თხზულებანი შეიცავენ კრიტიკულ ელემენტს. „მათ იერიში მიაქვთ არსებული საზოგადოების ყველა საფუძველზე. ამიტომ მათ მეტად ძვირფასი მასალა მოგვცეს მუშათა გასათვითცნობიერებლად“ (მარქსი და ენგელსი, „კომუნისტური მანიფესტი“).

ყველა თავის ნაკლის მიუხედავად, „უტოპიური სოციალიზმი მართალი იყო მსოფლიო ისტორიული აზრით, ვინაიდან იგი იყო იმ კლასის სიმპტომი, გამომხატველი, მომასწავებელი, რომელიც კაპიტალიზმის მიერ წარმოშობილი, ახლა, XX საუკუნის დასაწყისისათვის, გაიზარდა მასობრივ ძალად, რომელსაც შეუძლია ბოლო მოუღოს კაპიტალიზმს და რომელიც შეუჩერებლად მიდის ამისაკენ“ (ლენინი).

დიდია რობერტ ოუენის დამსახურება მუშათა კლასის წინაშე: 40 წელზე მეტი ხნის განმავლობაში იბრძოდა ეს პატიოსანი და დიდბუნებოვანი ადამიანი მუშათა კლასის ინტერესების დასაცავად და დაუღალავად ეწეოდა კომუნისტური იდეების პროპაგანდას.

აი ამიტომ იხსენიებს დღეს პატივისცემით რობერტ ოუენის სახელს გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის ბედნიერი ხალხი.

◆

დიდი რუსი მსახიობი

(მ. ს. შჩეპკინის დაბადების 150 წლისთავისათვის)

150 წლის წინათ, 1788 წლის 17 ნოემბერს, კურსკის გუბერნიის ობოიანის მაზრის სოფელ კრასნოეში დაიბადა მიხეილ სიმონის-ძე შჩეპკინი.

რუსული თეატრალური ხელოვნების ისტორიაში მას თავისი მნიშვნელობითაც და ხასიათითაც ისეთივე ადგილი უჭირავს, როგორიც უჭირავს პუშკინს რუსული ლიტერატურის ისტორიაში.

თავისი წარმოშობით შჩეპკინი ყმა იყო: მისი მამა კამერდინერი იყო, დედა კი — კამერისტკა გრაფ ვოლკენშტეინებთან. მიდიოდა რა სამუშაოდ ბატონების სახლში, დედას პატარა მიშაც თან მიჰყავდა.



5 წლის რომ შესრულდა, ბიჭი მიაბარეს სასწავლებლად არყისსახდელი ქარხნის მეკარეს. ასეთები იყვნენ შჩეპკინის შემდეგი მასწავლებლებიც. სწავლება მდგომარეობდა ამა თუ იმ წიგნის ზეპირად დასწავლაში, ხოლო ვინაიდან ბიჭს დიდი ნიჭი და მტკიცე მეხსიერება ჰქონდა, იგი მაშინვე იხსომებდა ტექსტს.

პირველი პიესა, რომელიც შჩეპკინმა სცენაზე ნახა, იყო ოპერა „ახალი ოჯახი“, რომელიც დადგეს ყმა მსახიობებმა მისი ბატონების საშინაო თეატრში. სანახაობამ განცვიფრებაში მოიყვანა 7 წლის მიშა, და შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ამ მომენტიდან ჩაესახა მას მძლავრი აქტიორული გატაცება, რომელიც შჩეპკინში არ შესუსტებულა მისი ხანგრძლივი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე.

ორი თუ სამი წლის შემდეგ მას მოუხდა პირველად გამოსვლა სცენაზე. ამ დროს იგი ცხოვრობდა ქალაქ სუჯაში და დადიოდა სახალხო სასწავლებელში. ამ უკანასკნელის მასწავლებელმა შეასწავლა თავის მოსწავლეებს სუმაროკოვის კომედია „მოხნუბარი ქალი“ და შჩეპკინს მოსამსახურის როლი დაავალა. წარმოდგენამ ისე კარგად ჩაიარა, რომ იგი განმეორებულ იქნა გოროდნიჩის სახლში, რომელიც მეტად კმაყოფილი დარჩა მიშას თამაშით. „აი ყოჩაღ, შჩეპკინ, — წაახალისა მან რუსული თეატრის მომავალი რეფორმატორი. — კარგი მოსამსახურე იქნები შენი ბატონისათვის!“

თავისი სცენიური კარიერის ნამდვილ დასაწყისად შჩეპკინი სთვლიდა არა სცენის მოყვარულთა ამ შეგირდულ წარმოდგენას, არამედ თავის გამოსვლას პიესაში „ზოია“, რომელიც უკვე ნამდვილმა დასმა დადგა. ა. შჩეპკინმა შესცვალა მსახიობი, რომელიც უეცრად ავად გახდა, და დიდი წარმატებით შეასრულა ფონსტის მოხელის როლი. შჩეპკინს ამ დროს ჩვიდმეტი წელი შეუსრულდა.

კურსკში ყოფნამ და მსახიობებთან ურთიერთობამ დიდი გავლენა იქონია შჩეპკინის თეატრალური მიდრეკილების განვითარებაზე.

შჩეპკინი შემთხვევით გაეცნო იმ დროის ცნობილ მსახიობს თავად პ. ვ. მეშჩერსკის. მისგან შჩეპკინმა შეითვისა სცენიურ თამაშში უბრალოების პირველი თვალსაჩინო გაკვეთილები, რაც მისთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო, ვინაიდან პიესებიც და მსახიობთა თამაშიც იმ დროს ტყვეობაში ჰყავდა ყალბ, მაღალფარდოვან და ხელოვნურ „კლასიციზმს“, რომელიც იმპერატორებსა და მეფეებს სახავდა ნახევარღმერთებად და „გმირებად“, ხოლო „უბრალო ხალხს“ — მაიმუნებად.

კურსკში შჩეპკინმა თხუთმეტი წელი დაჰყო და თანდათანობით ხდებოდა პროფესიონალი-მსახიობი. მაგრამ მას შესაძლებლობა არ ჰქონდა მთელი სიცოცხლე შეეწირა თეატრისათვის, ვინაიდან ყმა იყო. მისი „ბატონები“ წამდაუწუმ ეძახოდნენ შჩეპკინს სხვადასხვა სამსახურის შესასრულებლად, ხოლო ხშირად მას „მიაქირავებდნენ“ ხოლმე სხვა ბატონებს და შჩეპკინს უნდა შეესრულებინა ყოველგვარი მოვალეობანი—მიწისმზომელის, მდივნის, მხატვრის.

1816 წელს, როდესაც შჩეპკინმა უკვე დაიმსახურა ნიჭიერი მსახიობის რეპუტაცია, იგი მიიწვიეს ხარკოვის თეატრში. იქიდან იგი მთელ დასთან ერთად გადმოიყვანა პოლტავაში თავადმა რეპნინმა, წარჩინებულმა დიდკაცმა და თეატრალური ხელოვნების დამფასებელმა. მისივე დახმარებით მოხდა შჩეპკინის გამოსყიდვა ყმობიდან. ეს გამოსყიდვა დიდი ვაივაგლახით მიმდინარეობდა, დიდხანს გაჭიანურდა და სწარმოებდა „ნაწილნაწილ“: გამოსყიდულ იქნა შჩეპკინის ოჯახის ჯერ ერთი ნაწილი, შემდეგ მეორე... შჩეპკინი ოცდაცამეტი წლისა შეიქნა, როდესაც, ძლივსძლივობით, მოიშორა ყმის ბორკილები!

ერთი წლის შემდეგ მიხეილ სიმონის-ძის ცხოვრებაში ახალი დიდი მოვლენა მოხდა: იგი მოსკოვში მიიწვიეს. 1822 წლის 22 სექტემბერს აქ შესდგა მისი დებიუტი ზაგოსკინის პიესაში „ბატონი ბოგატონოვი“. ამიერიდან და სიცოცხლის დასასრულამდე (შჩეპკინი გარდაიცვალა 1863 წელს) — ორმოცი წლის განმავლობაში!—შჩეპკინი იყო მოსკოვის თეატრის მსახიობი.

მოსკოვში გადასვლამ მეტისმეტად კეთილმყოფელი გავლენა იქონია შჩეპკინის მძლავრი ნიჭის განვითარებაზე. მართალია, დედაქალაქის თეატრიც, ისევე როგორც პროვინციული თეატრი, იმავე ცრუ კლასიციზმის ტყვეობაში იმყოფებოდა, მაგრამ მოსკოვში შჩეპკინმა მიიღო კულტურის ნამდვილი სკოლა იმ დროის გამოჩენილი ადამიანების ფართო წრეში ნაცნობობით. მისთვის, რომელიც სპილენძის გროშებით სწავლობდა. ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. გრანოვსკისთან, გერცენთან, აქსაკოვთან მეგობრობაში, პუშკინთან, ბელინსკისთან ხშირი შეხვედრებით, გოგოლთან მჭიდრო შემოქმედებითი კავშირით მიხეილ სიმონის-ძე ავსებდა ხარვეზებს თავის მცირე განათლებაში და აღრმავებდა თავის შეხედულებას ხელოვნებაზე.

გენიალური მსახიობი შჩეპკინი თავისი თამაშით ხიბლავდა რუსეთის საზოგადოების ორ თაობას, იგი გახდა რუსული სცენის რეფორმატორი, თეატრალურ ხელოვნებას ჩაუყარა საძირკველი, რომელზედაც ეს ხელოვნება ურყევად რჩება ჩვენს დღეებამდე, იგი გახდა რუს დრამატიულ მსახიობთა ყველაზე ბრწყინვალე პლეადის მამამთავარი და თავისი სახელი საუკუნეებს უანდერძა.

თავისი პრინციპების ცხოველმყოფელობა და სისწორე შჩეპკინმა დაადასტურა თავისი არტისტული ცხოვრების მაგალითით. მისი მუშაობა თავის თავზე, მისი შრომა როგორც მსახიობისა არასოდეს არ შეწყვეტილა. „ხშირად სიტყვებისა ან კამათის ხმაურობაში ამჩნევდნენ, — სწერდა მასზე აქსაკოვი,— რომ შჩეპკინი რაღაცაზე დაფიქრდებოდა, რაღაცას ეძებდა გონებაში ან მეხსიერებაში; მიუხვდებოდნენ ხოლმე ამის მიზეზს და ხშირად აიძულებდნენ მას გამოტეხილიყო, რომ ფიქრობდა თავისი როლის რომელიღაც ძნელ ადგილზე, რომელიც რომელიმე დამსწრეს მიერ ნათქვამი მარჯვე სიტყვის შემდეგ ერთბაშად ახალი შუქით განათდებოდა...“

„მან სიმართლე შეჰქმნა რუსულ სცენაზე, — სწერდა გერცენი შჩეპკინის დახასიათებაში. — იგი პირველი გახდა არა თეატრალური თეატრში, მის მიერ შექმნილ სახეებს არ ახასიათებდა არავითარი ფრაზა, აფექტაცია, შარჟი...“ და როდესაც ვკითხულობთ გენიალური სტანისლავსკის წიგნს „ჩემი ცხოვრება ხელოვნებაში“, განა ჩვენ ნათლად არ ვხედავთ, რომ ჩვენი დროის საუკეთესო თეატრი, მოსკოვის სამხატვრო თეატრი აგებულია სიმართლის, უბრალოების, ბუნებრივობის შჩეპკინურ პრინციპებზე, დიად შრომაზე, მთელი კოლექტივის ანსამბლზე?

ჩვენ, საბჭოთა კავშირში თეატრალური კულტურის არნახული აყვავების თანამედროვეებს, შეუძლებლად გვეჩვენება, რომ შჩეპკინი, ხელოვნების ეს დევგმირი, ღრმა მოხუცებულობაშიც იძულებული იყო მთელი თავისი ძალები დაეჭიმა, რომ ერჩინა თავი. იგი უფრო ხშირად გამოდიოდა, ვიდრე მას ჯანმრთელობა აძლევდა ნებას, დადიოდა საგასტროლოდ... საგასტროლოდ წასულ 75 წლის მსახიობს მოუსწრო სიკვდილმა. იალტაში ჩასვლისას იგი მაშინვე უნდა გამოსულიყო საღამოზე გრაფ ვორონცოვთან. იგი დაიღალა, ცუდად იგრძნო თავი, და ექიმმა გამოსთქვა შიში, რომ ეს დასასრულის დასაწყისია. ხოლო ვინაიდან გრაფის მეუღლეს ეშინოდა მიცვალებულებისა, ავადმყოფი—მჭუქანი, სულთმობრძავი მოხუცი—საჩქაროდ წაიყვანეს სასტუმროში, სადაც იგი მალე გარდაიცვალა.

ა. დ.

მ. ს. შჩეპკინის დაბადების 150 წლისთავისათვის

17 ნოემბერს მოსკოვში დაიწყება დიდი რუსი მსახიობის მ. ს. შჩეპკინის დაბადების 150 წლისთავთან დაკავშირებული საიუბილეო ზეიმი.

ამავე დღიდან თბილისის თეატრალური საზოგადოებრიობა ჩაატარებს იუბილესთან დაკავშირებულ მთელ რიგ ღონისძიებებს.

გრიბოედოვის სახელობის თეატრში შესდგება მ. ს. შჩეპკინისადმი მიძღვნილი წარმოდგენა. დასდგამენ ოსტროვსკის პიესას „ტალანტები და თაყვანისმცემლები“. წარმოდგენას წაემძღვარება შესავალი სიტყვა შჩეპკინის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. თეატრის კოლექტივი თეატრშივე აწყობს იუბილესადმი მიძღვნილ გამოფენას.

სათეატრო სასწავლებელში არსდება მ. ს. შჩეპკინის სახელობის ორი ახალი სტიპენდია მე-3 და მე-4 კურსის ფრიადოსნებისათვის.

სასწავლებლის სტუდენტებისა და აგრეთვე თეატრის კოლექტივის მუშაკთათვის ეწყობა მოხსენებები თემაზე: „რუსული სცენიური რეალიზმის ტრადიციები“ (შჩეპკინი და სტანისლავსკი).

რუსთაველის სახელობის, მარჯანიშვილის სახელობის, სომხური დრამის თეატრთა კოლექტივები, სანკულტურის თეატრი და მოზარდმაყურებელთა სამივე თეატრი აწყობენ შჩეპკინის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოებს, აგრეთვე საწრეო საუბრებს დიდი რუსი მსახიობის ცხოვრებისა და შემოქმედების უკეთესად გაცნობის მიზნით.

(საქდესი)

გერმანიის პარკაში ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა, 14 ნოემბერი (საკდესი). ბერლინის მითითებით ჩეხოსლოვაკური რეაქცია ანხორციელებს ქვეყნის ფაშიზაციას. ამ დღეებში ჩეხოსლოვაკიის აგრარულმა პარტიამ სხვა პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელებს წარუდგინა ულტიმატური მოთხოვნა გაერთიანდნენ ფაშისტური ტიპის ერთ „სახელმწიფო პარტიად". ამჟამად აგრარულმა პარტიამ მიაღწია ძირითადად ამ გეგმის განხორციელებას. აგრარული პარტიის „ნაროდნი სედნოცენის", ჩეხ. სოციალისტებისა და სხვა პარტიების ხელმძღვანელმა ორგანოებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას „ნაციონალური ერთიანობის ჩეხურ პარტიაში" გაერთიანების შესახებ. ამრიგად, ჩეხოსლოვაკიაში ლეგალურად არსებობს ორი პარტია: ჩეხიის „ნაციონალური ერთიანობის პარტია" და „მშრომელი ხალხის პარტია", რომელიც ჩამოყალიბებულია სოციალ-დემოკრატების მიერ.

„მოაწესრიგა" რა ამრიგად საშინაო მდგომარეობა ახალ ჩეხოსლოვაკიაში, ფაშისტური გერმანია ცდილობს ერთხელ კიდევ ჩასცეს ლახვარი მას. ჰიტლერს განზრახული აქვს მოუსპოს ჩეხოსლოვაკიას, განსაკუთრებით ჩეხიის დამოუკიდებელი არსებობის ყოველგვარი შესაძლებლობა. ჩეხოსლოვაკიის ახალი საზღვრების დამდგენმა ეგრეთწოდებულმა საერთაშორისო კომისიამ, რომელიც ბერლინში მუშაობს, გადასწყვიტა მოახდინოს საზღვრის ახალი „შესწორებანი". ჰიტლერს უნდა ხელთ იგდოს კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი რკინიგზისა და სტრატეგიული პუნქტი და მათ რიცხვში ქალაქი — ოლმიუცი (მორავია), ჩესკე ბუდეიოვიცე, ინდრჟიხოვე, კრალოვო (სამხრეთი მორავია), აღმოსავლეთ ჩეხიის რამდენიმე რაიონი და 19 სოფელი ქალაქ ლეიმერიცეს რაიონში, რომელიც უკვე გადავიდა გერმანიის ხელში.

გერმანიასთან ოლმიუცის შეერთებით მანძილი ჩრდილოეთ და სამხრეთ მორავიას შორის 30 კილომეტრამდე შემცირდება. ჩეხია ფაქტიურად მოწყვეტილი იქნება სლოვაკეთისაგან, რომლის ნამდვილი ბატონ-პატრონი თანდათანობით ხდება ფაშისტური გერმანია. გერმანიის მთავრობა აძლევს იმიერკარპატის უკრაინის მთავრობას ფულად სახსრებს რკინიგზებისა და აგრეთვე გზატკეცილების გასაყვანად.

ეს პოლიტიკა გერმანიისა, რომელიც თანდათან ეპატრონება სლოვაკიისა და იმიერკარპატის უკრაინას, იწვევს ამ ავტონომიურ ოლქების ფაქტიურად ჩამოცილებას და ჩეხოსლოვაკიას ყოველგვარ დამოუკიდებლობასა და ხელმძღვანელ როლს ართმევს ახალ რესპუბლიკაში.

„მშვიდობიანობისა და თავისუფლებისათვის, მოძრაობის" კონგრესის დახურვა

პარიზი, 14 ნოემბერი (საკდესი). პარიზში დაიხურა „მშვიდობიანობისა და თავისუფლებისათვის მოძრაობის" კონგრესი. კონგრესის უკანასკნელ სხდომას თავმჯდომარეობდა სენატორი და ყოფილი მინისტრი სოციალისტი ანრი სელიე.

სიტყვით გამოსული ანრი სელიე მოითხოვდა ერთიანობის განხორციელებას საფრანგეთის სოციალისტურ და კომუნისტურ პარტიათა შორის.

რადიკალ - სოციალისტი აბვლესი, რომელიც მიუნხენის შეთანხმების წინააღმდეგ გამოვიდა, რადიკალ - სოციალისტებს მოუწოდებდა სახალხო ფრონტის განმტკიცებისაკენ.

ჟაკ დიუკლომ, ლაპარაკობდა რა დალადიეს პოლიტიკის შესახებ, განსაკუთრებული ძალით გაუსვა ხაზი იმას, რომ ეს პოლიტიკა სახალხო ფრონტის დასუსტებისკენაა მიმართული. დიუკლომ მოაგონა კონგრესს, რომ კომუნისტურმა პარტიამ უარი სთქვა ხმის მიცემაზე, რათა საგანგებო რწმუნებანი მიენიჭებინათ დალადიეს მთავრობისათვის, რომელიც ახლა თავისი დეკრეტებით ზიანს აყენებს რესპუბლიკის სოციალურ კანონებს და ახალ ტვირთს აკისრებს მუშათა კლასს. საფრანგეთს, — სთქვა ჟაკ დიუკლომ,—ესაჭიროება ისეთი მთავრობა, რომელიც ხალხის ნება-სურვილს გამოხატავს.

კონგრესმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც პროტესტს აცხადებს პარიზის პოლიციის საქციელის წინააღმდეგ პარიზის ქუჩებში გუშინ ინტერნაციონალური ბრიგადების მებრძოლთა გავლისას, რომლებიც რესპუბლიკური ესპანეთიდან დაბრუნდნენ საფრანგეთში. კონგრესმა მიიღო აგრეთვე საერთო რეზოლუცია, რომელიც ჯამს უკეთებს მის სხდომებს. რეზოლუციის ტექსტი ჯერ არ არის გამოქვეყნებული.

შრომის საერთო კონფედერაციის ყრილობის გახსნა

პარიზი, 14 ნოემბერი (საკდესი). დღეს დილით ნანტში გაიხსნა ყრილობა საფრანგეთის პროფკავშირებისა, რომელთაც აერთიანებს შრომის საერთო კონფედერაცია. დღის წესრიგში სდგას შრომის საერთო კონფედერაციის მოქმედების ანგარიში და სოციალური კანონმდებლობის, საერთაშორისო მდგომარეობის, მშვიდობიანობისათვის ბრძოლისა და სხვა საკითხები.

ყრილობას ესწრება დაახლოებით 900 დელეგატი და მთელი რიგი ქვეყნების პროფკავშირთა წარმომადგენლები.

ყრილობის გახსნისას გამოქვეყნებულ იქნა ჩეხოსლოვაკიის პროფკავშირების ცენტრალური გაერთიანების წერილი, რომელიც სამარცხვინო ბოძზე აკრავს მიუნხენის შეთანხმებას და აღნიშნავს, რომ ჩეხოსლოვაკიაში ამ შეთანხმების შედეგად შექმნილმა მდგომარეობამ ხელი შეუშალა ჩეხოსლოვაკიის პროფკავშირთა წარმომადგენლების გაგზავნას ნანტში.

შემდეგ მოკლე სიტყვით გამოსულმა ჟუომ აღნიშნა, რომ ყრილობამ მხედველობიდან არ უნდა გაუშვას ამჟამად შექმნილი განსაკუთრებულად საშიში საერთაშორისო და შინაური ვითარება. ამასთან დაკავშირებით ჟუო მოუწოდებდა კონგრესს პროფკავშირული ერთიანობის განმტკიცებისაკენ.

შემდეგ ყრილობა შეუდგა შრომის საყოველთაო კონფედერაციის ანგარიშის განხილვას.

ფაშისტური „დემონსტრაციები" უნგრეთში

პრაღა, 14 ნოემბერი (საკდესი). უნგრეთის პარლამენტმა დაუმტკიცა საგანგებო რწმუნებანი იმრედის მთავრობას იმ საკითხებში, რომლებიც ეხებიან „წესრიგის დამყარებას" სლოვაკიისა და იმიერკარპატის უკრაინის უნგრეთთან შეერთებულ რაიონებში. პარლამენტი დათხოვნილია განუსაზღვრელი დროით.

13 ნოემბერს ბუდაპეშტში გაიმართა სოციალ-დემოკრატებისა და ლიბერალური პარტიების წინააღმდეგ მიმართული ფაშისტური „დემონსტრაციები". „დემონსტრანტებმა" დაარბიეს ბინა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და კერძო მოსამსახურეთა კავშირის ცენტრალური კომიტეტისა (რომელიც იმყოფებოდა სოციალ - დემოკრატების ხელმძღვანელობის ქვეშ). ფაშისტები მოითხოვენ ყველა არაფაშისტური პარტიის დაშლას.

საფრანგეთის მთავრობის საგანგებო დეკრეტები

პარიზი, 14 ნოემბერი (საკდესი). დღეს მთავრობა მიიღებს საგანგებო დეკრეტების მეორე სერიას.

უკვე გამოქვეყნებული საგანგებო დეკრეტებით გათვალისწინებული არაპირდაპირი გადასახადების გადიდება, წინასწარი გამოანგარიშებით, სახელმწიფო ბიუჯეტს დაახლოებით 30 მილიარდ ფრანკს მისცემს. პირდაპირი გადასახადების გადიდება დაახლოებით—4 მილიარდ ფრანკს. ამას გარდა, დაახლოებით 30 მილიარდ ფრანკს მისცემს ხაზინას საფრანგეთის ბანკის ოქროს მარაგის გადაფასება.

მთავრობის დეკრეტები მკაცრად ამცირებენ მშრომელთა მასების საცხოვრებელ დონეს. სამუშაო დროის გახანგრძლივებასთან ერთად, გადასახადების უზარმაზარი ზრდით, შემოსავლის დაუბეგრავი მინიმუმის გაუქმებით და ინფლაციით შაქრის აქციზი მატულობს 30 პროცენტით, თამბაქოს აქციზი 15-20 პროცენტით, ყველა სახის საქალაქო ტრანსპორტის ტარიფი—30 პროცენტით და სხვ.

ეგრეთწოდებული „ეკონომიის" ღონისძიებანი, რომლებიც გათვალისწინებულია „რეინოს გეგმით", არ იფარგლება ასიგნობების შემცირებით საზოგადოებრივი სამუშაოებისათვის და 40 ათასი რკინიგზელის დათხოვნით, არამედ შეიცავს აგრეთვე სხვა სახელმწიფო, მუნიციპალურ და კომუნალურ დაწესებულებათა შტატების შემცირებას.

ჟაკ დიუკლოს გამოსვლა

პარიზი, 14 ნოემბერი (საკდესი). დეპუტატთა პალატის ვიცე თავმჯდომარე და საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჟაკ დიუკლო პოხტუაზში გამოვიდა სიტყვით, რომელიც შეეხებოდა მთავრობის საგანგებო დეკრეტებს. ჟაკ დიუკლომ განაცხადა, რომ დალადიესა და რეინოს პოლიტიკა რეაქციული პოლიტიკაა, რომელიც სრულ წინააღმდეგობაშია საფრანგეთის ინტერესებთან და არავითარი მხრით არ შეუძლია უზრუნველჰყოს ქვეყნის ეკონომიური და ფინანსიური გაჯანსაღება. „ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ ამ პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლისათვის და დავიწყებთ კამპანიას პარლამენტის მოწვევის სასარგებლოდ. უარს ვაცხადებთ რა დალადიეს მთავრობისათვის ნდობის გამოცხადებაზე, ჩვენ ამით საფრანგეთის ხალხის ფართო მასების განწყობილებას გამოვხატავთ".

ქემალ ათათურქის დაკრძალვისათვის

ანკარა, 14 ნოემბერი (საკდესი). ანატოლიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ განსვენებული პრეზიდენტის ქემალ ათათურქის ნეშტი, ოფიციალური დაკრძალვის შემდეგ, დროებით დასვენებული იქნება ანკარის ეთნოგრაფიული მუზეუმის დარბაზში. იმის შემდეგ, რაც აგებულ იქნება მავზოლეუმი, ქემალ ათათურქის ნეშტი გადატანილ იქნება ამ მავზოლეუმში.

მოკლე ცნობები

● ბრიტიშ იუნაიტედ პრესის სააგენტო სარაგოსიდან იტყობინება, რომ სამხედრო ტყვეების გაცვლის ინგლისური კომისია ესპანეთში მეამბოხეებთან მოლაპარაკების შემდეგ ცდილობს მიიღოს რესპუბლიკური მთავრობისაგან თანხმობა დროებით ზავზე გვადარამის ფრონტზე, ნავასერადის მახლობლად. დროებით ზავის განმავლობაში განზრახულია ტყვეების გაცვლა-გამოცვლა.

● გაზეთი „ფიგარო" აქვეყნებს ბერლინიდან მიღებულ დეპეშას იმის შესახებ, რომ ახლო მომავალში გაიმართება სასამართლო პროცესი იმ შეთქმულების შესახებ, რომელსაც თითქოს მიზნად ჰქონდა ჰიტლერისა და ფაშისტური პარტიის სხვა მეთაურების მოკვლა. სასამართლოს წინაშე წარსდგება 21 ბრალდებული. პროცესის ცენტრალური ფიგურაა ბრალდებული ერნსტ მიკაში, ცნობილი ჟურნალისტი.

● იუწყებიან, რომ ინგლის-იტალიის შეთანხმება ძალაში შევა 16 ნოემბერს. ინგლისის ელჩს რომში ლორდ პერტს უკვე გაეგზავნა ახალი რწმუნების სიგელები, რომლითაც ის აკრედიტებულია „იტალიის მეფესა და აბისინიის იმპერატორთან".

პოლინა ოსიპენკო და იოჰანეს ბეხერი „დიადი განთიადის" შესახებ

მოსკოვი, (ბილდაპარატით საკ. კორ.). მეათე დღეა, რაც მოსკოვში უჩვენებენ ფილმ „დიად განთიადს". ფილმი კვლავ მიდის მოსკოვის 11 კინოთეატრში, ანშლანგებით ყველა სეანსზე და მნახველთა აღფრთოვანებულ შეფასებას იწვევს.

საბჭოთა კავშირის გმირი **პოლინა ოსიპენკო** აცხადებს: „ფილმმა „დიადმა განთიადმა" დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ეს ფილმი ორჯერ ვნახე—და მეორედ კიდევ მეტი მღელვარებით, ვიდრე პირველად. ამ ფილმის ცალკეულ კადრებს შეიძლება სავსებით კლასიკური ვუწოდოთ".

მოსკოვში მყოფი ცნობილი გერმანელი ანტიფაშისტი მწერალი იოჰანეს ბეხერი ამბობს: „ეს ფილმი ნაჩვენები უნდა იქნას დასავლეთში. ის უეჭველად ახალ ძალებს შეჰმატებს მშრომელთა და მოწინავე ინტელიგენციის მრავალმილიონიან რაზმებს, რომელნიც იბრძვიან მშვიდობიანობისათვის, ომისა და ფაშიზმის წინააღმდეგ".

სახკინოგამომცემლობა უახლოეს დღეებში უშვებს „დიადი განთიადისადმი" მიძღვნილ ბროშურას. ამ ბროშურაში მოცემული იქნება ფილმის საზოგადოებრივ - პოლიტიკური შეფასება და აწერილი იქნება მისი წარმოება.

სპეციალისტთა ახალი კადრები

14 ნოემბერს თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა უნივერსიტეტის ახლად კურსდამთავრებულთა გამოშვებისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო.

სხდომა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა ამხ. დ. ყიფშიძემ. სახელმწიფო გამოცდების შედეგებზე მოხსენებით გამოვიდა პროფ. არჩ. ხარაძე.

სტუდენტთა ორგანიზაციის სახელით სხდომას მიესალმა ამხ. ვ. სხირტლაძე, კურსდამთავრებულ სტუდენტთა სახელით—ამხ. გ. ჩხაიძე.

წელს თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა და სახელმწიფო გამოცდები ჩააბარა სამასმა კაცმა, აქედან 44 კაცმა ჩააბარა ფრიადზე. კურსდამთავრებულთა შორის მრავლად არიან მათემატიკოსები, ისტორიკოსები, ბიოლოგები, ეკონომისტები, გეოგრაფ-გეოლოგები და ქიმიკოსები.

ფრიადზე კურსდამთავრებულ ამხანაგებს მიეცათ საჩუქრები — ფოტო-აპარატები, პორტფელები და სხვ.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხუთიათასიანმა კოლექტივმა კურსდამთავრებულ სტუდენტთა სახელით მხურვალე მისალმება გაუგზავნა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. ქ. ნ. ჩარკვიანს.

დასასრულ, ადგილობრივი და მოწვეული ძალებით გაიმართა დიდი მხატვრული კონცერტი.

114 მადლობა 114 გამოსვლისათვის

— „კოლექტივის გამოსვლამ ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებში წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა. 450 მაყურებლის სახელით დიდ მადლობას ვუცხადებთ დამსახურებულ არტისტს ვ. მატარაძეს და მის კოლექტივს"...

— „მადლობელი ვართ სიღნაღის რაიონული ორგანიზაციებისა, რომლებმაც ჩვენს სოფელში — ქვემოქედში გამოგვიგზავნეს დამსახურებული არტისტის ვ. მატარაძის აგიტკოლექტივი. იმედია, შემდეგშიაც გამოგვიგზავნიან ამ კოლექტივს...

— „გთხოვთ ხშირად მოგვინახულოთ ხოლმე და გვიჩვენოთ ასეთი პატარა და კარგი პიესები"...

ასე სწერენ იმ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ფაბრიკა-ქარხნებისა და სასოფლო-საბჭოების წარმომადგენლები, სადაც პატარა საღამო-წარმოდგენები ჩაატარა დამსახურებული არტისტის ვიქ. მატარაძის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებულმა დრამისა და ესტრადის მსახიობთა აგიტკოლექტივმა. ეს აგიტკოლექტივი დიდად სასარგებლო და საჭირო მოღვაწეობას ეწევა. ის მიდის ისეთ ადგილებში, სადაც იშვიათად თუ იმართება მაღალხარისხოვანი მხატვრული წარმოდგენები, ისეთ ადგილებში, რომლებიც მოწყვეტილნი არიან კულტურულ ცენტრებს და სადაც მოთხოვნილება მაღალხარისხოვანი მხატვრული პროდუქციის ნახვისა დიდია.

რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ვ. მატარაძემ აღნიშნული კოლექტივი ჩამოაყალიბა 1937 წლის მარტში. ამ ხნიდან დღემდე დასახელებულმა აგიტკოლექტივმა საღამო-წარმოდგენები გამართა და მომსახურება გაუწია 114 სოფელს, კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას და ფაბრიკა-ქარხანას. აგიტკოლექტივის გასტროლები უდიდესი წარმატებით ჩატარდა წულუკიძის, მახარაძის, ლანჩხუთის, ქობულეთის, ბათუმის, ფოთის, სოხუმის, ოჩამჩირის, გალის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ცხაკაიას, ჩხოროწყუს და ონის რაიონებში.

აგიტკოლექტივი მომსახურებას უწევს აგრეთვე საწარმოებს, მშენებლობათა მუშებს და სხვ. მისი რეპერტუარი შესდგება მსუბუქი საავიტაციო - ჰუმორისტული ჟანრის პატარა პიესებისაგან, სკეტჩებისა, ანტირელიგიური და საყოფაცხოვრებო ვოდევილებისაგან.

კოლექტივი სულ 4 მსახიობისაგან შესდგება. მასში შედიან: ხელმძღვანელი ვ. მატარაძე, მსახიობი ქალები — ალ. ივერიელი და ა. დევიძე და მსახიობი ნიკო ანჯაფარიძე.

○

კარგი და მისასალმებელი იქნება, რომ ამ აგიტკოლექტივს თავის მზრუნველობისა და მეთვალყურეობის ქვეშ აიყვანდეს ხელოვნების საქმეთა სამმართველო.



მსახიობთა კოლექტივი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ვიქტორ მატარაძის ხელმძღვანელობით. **სურათზე** (მარცხნიდან მარჯვნივ პირველ რიგში): ვ. მატარაძე და მსახიობები ალექსანდრა ივერიელი და ნიკო ანჯაფარიძე (სხედან), უკან სდგას ესტრადის მსახიობი ქალი ალ. დევიძე.

ორდენოსანმა პროფესორმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მოქანდაკე ი. ნიკოლაძემ დაამთავრა მუშაობა 17 წლის სტალინის ბიუსტზე.
ფოტო ო. ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

ჭ ა დ რ ა კ ი

საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი

ამსტერდამი, 14 ნოემბერი (საკდესის სპეცკორი). დღეს ჰარლემში შესდგა საერთაშორისო საჭადრაკო მატჩ-ტურნირის მეექვსე ტური.

დამთავრდა მხოლოდ ერთი პარტია. კერესმა მე-8 სვლაზე მოუგო კაპაბლანკას, ფლორ-ბოტვინიკისა და ალიოხინ-ფაინის პარტიები გადადებულია დაახლოებით თანაბარ მდგომარეობაში. გადადებულია აგრეთვე ეივე-რეშევსკის პარტია რეშევსკისათვის მოსაგებ მდგომარეობაში.

ხვალ ჩატარდება პირველი წრის უკანასკნელი ტური. ითამაშებენ: ფაინ-კერესი, ბოტვინიკი-ალიოხინი, რეშევსკი-ფლორი და კაპაბლანკა-ეივე.

საქართველოს პირველობისათვის

მეორე ტური

საქართველოს უძლიერეს მოჭადრაკეთა მეორე ტურის ცენტრალურ პარტიას ებრალიძის და ფირცხალავას შეხვედრა წარმოადგენდა. მოწინააღმდეგენი მათ განკარგულებაში მყოფ სვლათა განმეორების შესაძლებლობით შეთანხმდნენ ყაიმზე.

ახალგაზრდა მოჭადრაკე ცინცაძემ ჯეროვნად გამოიყენა სერედას პასიური თამაში და პარტია გამარჯვებამდე მიიყვანა.

ხოტელაშვილ — მირზოევის პარტია გადაიდო პირველისათვის მოსაგებ მდგომარეობაში. ნერსესოვ — ფალავანდიშვილის პარტია ამ დღეს არ გათამაშებულა. მესამე ტური ჩატარდება 21 ნოემბერს.

სასამართლო

ხ უ ლ ი გ ნ ე ბ ი

1938 წლის 5 სექტემბერს, დილის 5 საათზე, ვასილ დენისის-ძე გუბარი, ალექსანდრე ვასილის-ძე პავლოვი, ნიკოლოზ ვასილის-ძე გოლოდი და ვასილ ონისიმეს-ძე სელივანოვი მთვრალები მიდიოდნენ საბჭოს ქუჩაზე და წესრიგს არღვევდნენ. საგუშაგოზე მდგომმა მილიციელმა ამხ. მეკოკიშვილმა მათ წესრიგისაკენ მოუწოდა, მაგრამ დამორჩილების ნაცვლად ხულიგნები მისცვივდნენ მას, წაართვეს „ნაგანის" სისტემის რევოლვერი, სცემეს და მიიმალნენ. ხულიგნები მალე შეიპყრეს და სამართალში მისცეს.

13 ნოემბერს მათი საქმე საჩვენებელი პროცესით გაარჩია პლეხანოვის სახ. მუშათა კლუბში ლენინის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლომ ამხ. პ. შაორშაძის თავმჯდომარეობით. სასამართლომ ხულიგნებს შემდეგი განაჩენი გამოუტანა:

მთავარ ბრალდებულს ვასილ დენისის-ძე გუბარს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ხუთი წლით ვადით შორეულ ბანაკში გადასახლებით და სასჯელის მოხდის შემდეგ ორი წლით სამოქალაქო უფლებების აყრით, მეორე ბრალდებულს ალექსანდრე ვასილის-ძე პავლოვს სამი წლით პატიმრობა.

დანარჩენი ორი ბრალდებული ნიკოლოზ ვასილის-ძე გოლოდი და ვასილ ონისიმეს-ძე სელივანოვი ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო გამართლებულ იქნენ.

დამსწრე საზოგადოება განაჩენით კმაყოფილი დარჩა.

მ. სურგულაძე.

რუსთაველის თეატრის მორიგი პრემიერა

დღეს, 16 ნოემბერს, რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი მორიგ პრემიერად სდგამს ორდენოსანი დრამატურგის სანდრო შანშიაშვილის ახალ პიესას „ფოლადაურს".

პიესა მიძღვნილია საკ. ალკკ 20 წლისთავისადმი. პიესა მიდის უმთავრესად კომკავშირელ და ახალგაზრდა მსახიობთა მონაწილეობით.

მთავარ როლებს ასრულებენ: ორდენოსანი მსახიობები შ. ჯაჯანაშვილი, ს. ჯაფარიძე, მსახიობები: დ. ხუციშვილი, თ. ბაქრაძე, ლ. ყაზაიშვილი, ახალგაზრდა მსახიობები: შ. გიგაური, ზ. მაჩაბელი, ივ. ჯავახიშვილი, გ. ასიტაშვილი, ალ. აფხაიძე, დ. ჭიაბრიშვილი, ქ. სიხარულიძე, შ. სანაძე, ბ. სხირტლაძე, შ. აბესაძე, გ. ბეჟუაშვილი, ი. მაზმანიშვილი, ა. ვარდიაშვილი და სხვ.

პიესას სდგამს ახალგაზრდა რეჟისორი შ. წერეთელი. მხატვარი — თ. აბაკელია. მუსიკა კომკავშირელ კომპოზიტორ რ. გაბიჩვაძისა.

დადგმა განხორციელებულია სსრ კავშირის სახალხო არტისტის, ორდენოსანი აკაკი ვასაძის საერთო ხელმძღვანელობით.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პარტგანათლების სახლში

16 ნოემბერს:

ლენინიზმის კაბინეტი — 1) ლექცია: ლენინიზმის მოძღვრება ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის შესახებ. რუსულ ენაზე, ლექტორი ამხ. კანტერე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

2) ლექცია: მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმის ძირითადი ნიშნები. ქართულ ენაზე, ლექტორი ამხ. ქუთელია. დასაწყისი სად. 8 საათზე.

აგიტაციის კაბინეტი — ლექცია: მეორე იმპერიალისტური ომის დასაწყისი და სსრ კავშირის როლი მშვიდობიანობისათვის ბრძოლაში. ქართულ ენაზე, ლექტორი ამხ. ხატიაშვილი. დასაწყისი სად. 8 საათზე.

ალკკ კაბინეტი — ლექცია „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" III თავის მიხედვით: მენშევიკები და ბოლშევიკები რუსეთ-იაპონიის ომისა და რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში (1904-1907 წლები). რუსულ ენაზე, ლექტორი ამხ. მამიანი. დასაწყისი სად. 8 საათზე.

○

საქ. კ. პ. (ბ) ჩოხატაურის რაიკომი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 0716208, გაცემული იმავე რაიკომის მიერ 1936 წ. 7 ივნისს მირიან ეგნატესძე თავაძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

◆

ქვანახშირი და მარგანეცი

14 ნოემბრისათვის

(ტ ო ნ ო ბ ი თ)

	გეგმა	შესრულება	%%
ტყიბული	1026	935	91
ტყვარჩელი	720	871	121
ჭიათურა	5530	4424	80

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახ. თეატრი 1938-39 წ. სეზონი.

16/XI	17/XI	18/XI
მუდ. ადგ. ტალ. № 25	მუდ. ადგ. ტალ. № 26	მუდ. ადგ. ტალ. № 27
აბ. სერ. № 2	აბ. სერ. № 7	
სევილიელი დალაქი	წყნარი დონი	დაისი

დასაწყისი 8 საათზე.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი

16/XI	შ უ რ ი
17/XI	ნაპერწკლიდან

დასაწყისი 8 საათზე.
სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თ ე ა ტ რ ი
1938-39 წ. სეზონი

16/XI	წარმოდგენა 49 ფ ო ლ ა დ ა უ რ ი
17/XI	წარმოდგენა 50 ფ ო ლ ა დ ა უ რ ი
18/XI	წარმოდგენა 51 ფ ო ლ ა დ ა უ რ ი

23 ოქტომბრიდან დაიწყო მუდმივი ბილეთების დარჩენილი ნაწილის გაცემა. მიღების დროს სავალდებულოა მეორე შემოსატანი. აგრეთვე დაწესებულებათა მინდობილობა.

დასაწყისი 8 საათზე.
სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

სახცირკი ტელ. 3-11-44

16 და 17 ნოემბერს
ახალი პროგრამა

საცირკო ხელოვნების უმაღლეს ოსტატთა პირველი გამოსვლები

სამი გოლიაძე—თავისუფლად მავალი კიბე-ბალანსი **ხუთი დანდლიშვილი**—ფრენა ცირკის გუმბათქვეშ.
კ. გურიევი—უნივერსალური ჟონგლიორი და სხვ.
ჩინელი ილუზიონისტის **მი-კო-შის** გამოსვლის უკანასკნელი დღეები.
დასაწყისი სად. 8 ს. 30 წ.

18 ნოემბერს წარმოდგენა დღისით ჩინელი ილუზიონისტის მი-კო-შის და სხვ. მონაწილეობით. დასაწყ. დღის 2 საათზე

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თ ე ა ტ რ ი

დაწყებულია ყველა აბონემენტის მე-2 მორიგი შესატანის მიღება.

ვისაც არ ექნება გადახდილი მე-2 შესატანი, სპექტაკლზე არ დაიშვება. 2-1 90

სამედიცინო ინსტიტუტში, სახუნტში, სტომატოლოგიურ ინსტიტუტში, ინდუსტრიულ ინსტიტუტში და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში

შემსვლელთათვის

მოსამზადებელ კურსებზე გრძელდება

მსმენელთა მიღება ახალ ჯგუფებში.

პირობების გაგება ყოველდღე სად. 7-დან 10 საათამდე. მისამართი: კალინინის ქუჩა № 51. რკინიგზის მე-5 სკოლა, III სართული. № 21499

საქ. სარეწ. საბჭოში შემავალ არტელ „ზუსტი დროს" დასკვნითი ბალანსი 1938 წლის 1 იანვრისათვის

№№ რიგ.	აქტივი — მუხლების დასახელება.	ჯ ა მ ი	№№ რიგ.	პასივი — მუხლების დასახელება.	ჯ ა მ ი
1	ძირითადი საშუალებანი	6.393	1	ფონდები	42.488
2	ნედლეული და მასალები	56.249	2	მიზნობრივი რეზერვები	1.628
3	პროდუქცია და საქონელი	40.089	3	ანგარიშსწორებანი	24.552
4	ფულადი საშუალებანი	18.401	4	დაგროვებანი	90.860
5	საშუალებანი ანგარიშსწორებაში	3.177			
6	ხარჯები მომავალი ოპერაციების ან-შით	411			
7	განყენებული საშუალებანი	34.808			
	ბ ა ლ ა ნ ს ი	159.528		ბ ა ლ ა ნ ს ი	159.528

მოგება-ზარალის ანგარიში

1.	ხარჯები და ზარალი სხვადასხვა	5385	1.	შემოსავალი რეალიზაციით	78733
			2.	სხვადასხვა შემოსავალი	17512
	ს უ ლ	5385		ს უ ლ	96245
2.	დაგროვებანი	90860			
	ბ ა ლ ა ნ ს ი	96245		ბ ა ლ ა ნ ს ი	96245

ბალანსი დამტკიცებულია საბალანსო კომისიის მიერ (ოქმი № 15) 1938 წ. 17 იანვარს.

არტელის თავმჯდომარე ვ. ბერუჩაშვილი. მთავარი ბუხჰალტერი ა. პეტროსიანი. 1597

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველო 1938 წლის 15 დეკემბერს აცხადებს

ვოკალისტების საკავშირო კონკურსის

პირველ შესარჩევ ტურს

კონკურსი შესდგება მოსკოვში 1938 წლის 25 დეკემბერს.

კონკურსის მონაწილე პრიზიორებისათვის დაწესებულია შემდეგი 5 პრემია:

1-ლი—7.000 მან., მე-2—6.000 მან., მე-3—5.000 მან., მე-4—4.000 მან., მე-5—3.000 მან. კონკურსის მონაწილეთათვის შეიძლება გამოყოფილ იქნას 2 სპეციალური პრემია 2.500 მან. რაოდენობით თვითეული საბჭოთა ავტორების საუკეთესოდ შესრულებისათვის.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველთა ჩაწერა სწარმოებს ყოველდღიურად დილის 10-დან 4 საათამდე ორგკომიტეტის შენობაში (კომპოზიტორთა კავშირი. მახარაძის ქ. 8, ტელ 3-02-88) და შესწყდება 1938 წლის 1 დეკემბერს. ჩაწერილებს ორგკომიტეტში შეუძლიათ მიიღონ კონკურსის პირობები და პროგრამა. 363

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1938 წ. 5 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, ფინანსიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად ა. ნ. ინწკირველი დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„საბალანსო მეთოდი ბუხჰალტერიაში"**.

ოპონენტები: პროფ. ფ. გოგიჩაიშვილი და დოც. შ. გოგებაშვილი.

შრომის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორი დ. ყიფშიძე.
90

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა — 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების — 3—73—24, პ.-მგ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", თბილისი, კამოს ქ. № 68. მთავლიტის რწმუნებული ე—201